

# იპელი +



ყოველთვიური ჟურნალი შიგნითადად შესაძლებლობის მქონე პირებისათვის  
№ 3 (39) მარტი 2014წ.

1713  
2014



იყითხეთ ფუნქციონალი „იპელი +“



ვილოცავთ დედის დღეს  
და 8 მარტს!

### პარსკვლავები

მარიაში ერქვა დედაჩემს,  
შარავანდები კი არ ეფინა,  
წყაროს ათინათს ირეკლავდნენ ფართო თვალები,  
მკერდზე იესო კი არ მიერქმა.

წყაროდან პეშვით წყალს მასმევდა და მიხაროდა,  
რომ მარიაში ერქვა სახელად,  
და ღვთისმშობელი სულაც არ იყო,  
ისე, უბრალიდ, მარიაში ერქვა დედაჩემს.

ამირან ლოლაძე

ISSN1987-7161 977198771600	საქართველო აშშ-სთან ურთიერთობების სფეროში რეალურად ახალ ეტაპზე გადადის .....2
<b>მთავარი რედაქტორი</b>	ასოციაცია „დეას“ პროექტის – „გზა ინკლუზიისაკენ“ პრეზენტაცია .....2
თეიმურაზ მიქიაშვილი 593 33 5887 info.imediplus@gmail.com	ტრენინგი ქუთაისში .....3
<b>რედაქტორის მოადგილე</b>	ამერიკელი პროფესორი ქართველ პედაგოგებს გამოცდილებას უზიარებს .....4
მაია ასაკაშვილი asakashvili_maia@yahoo.com	ფინანსთა მინისტრის განმარტება დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების თაობაზე .....4
<b>ლიზინერი</b>	შშმ პირთა საჭიროებებსა და ადაპტირებული გარემოსთვის აუცილებელ სტრატეგიაზე შეხვედრა გაიმართა .....4
სოფო ტარყაშვილი 592 534466	„ასინქრონის“ პრეზენტაციამდე და მას შემდეგ .....5
<b>გამომცემელი</b>	მომავლის იმედით .....7
კავშირი „იმედი პლიუსი“	პატარა ქოხის ისტორია .....9
<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	უნდა ირწმინო, რომ გაიმარჯვო, ანუ 60 ვარჯიში სიცოცხლისათვის ..... 11
ქ. თბილისი. ი.ჭავჭავაძის გამზ. N66. მე-2 სადარბ. ბ. 12 + 995 223 22 60 + 995 593 33 5887 + 995 593 91 6682 pr_iediplus@yahoo.com info.imediplus@gmail.com	ფსიქიატრიული დანესებულებების მონიტორინგი ..... 13
ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში. თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50	„თბილისს ადაპტირებული ავტობუსები ეყოლება“ – მორიგი დაპირება შშმ პირებს ..... 15
	ბავშვი ცერებრული დამბლით – დახმარება, მოვლა, განვითარება .... 16
	ოკუპაციური თერაპიის როლი განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროცესში ..... 19
	გონებრივი ჩამორჩენილობა .....23
	მონყობილობები ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებისათვის ....24
	სიღნაღი .....25
	ახალგაზრდა შემოქმედები – თამაზ მჭავანაძე .....26
	რიჩარდ ნორლანდის და ქენდლის ქემბლის ვიზიტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში .....28
	დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე .....29
	ერთი ცნობილი ადამიანის ცხოვრების ისტორია .....30
	აფხაზეთი რუსეთმა კატასტროფამდე მიიყვანა .....30
	ავსტრიაში რობოტმა თავი მოიკლა .....31
	სურვილის მიზეზი .....31
	დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების გამარჯვება პარალიმპიადაზე .....32
	ოლიმპიური თამაშების თილისმის ისტორია.....32



**ჟურნალი გამოდის „მაკლენის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან  
 ბარაკანის პირველ გვირგვინ – თბილისი ღღეს – გმირთა მოედანი;  
 ყლის მიმთხე გვირგვინ – სიღნაღი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტი მიერ ჩანერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.  
 ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭვდა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

## საქართველო აშშ-სთან ურთიერთობების სფეროში რეალურად ახალ ეტაპზე გადადის



„საქართველო აშშ-სთან ურთიერთობების სფეროში რეალურად ახალ ეტაპზე გადადის, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან და ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ირაკლი ლარიბაშვილის განმარტებით, ბარაკ ობამასა და ჯო ბაიდენტთან შეხვედრაზე მხარე ებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

„შეხვედრა მქონდა აშშ-ს პრეზიდენტთან ბატონ ბარაკ ობამასთან და ასევე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტთან ჯო

ბაიდენტთან. განვიხილეთ ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. ჩვენმა მთავრობამ აშშ-ის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის სახელით სრული მხარდაჭერა მიიღო. მათ დაგვიდასტურეს, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს. მე ასევე მივიღე დადასტურება და მზადყოფნა ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შესახებ. მთლიანობაში ეს იყო ძალიან პოზიტიური და ნაყოფიერი შეხვედრა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აშშ-ი საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, სტრატეგიული პარტნიორია და ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ამ ურთიერთობების გაღრმავებასა და განმტკიცებას. საქართველო, აშშ-თან ურთიერთობების სფეროში, რეალურად ახალ ეტაპზე გადადის - აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ლარიბაშვილის შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტთან თეთრ სახლში გაიმართა. შეხვედრა დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა და მას საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო.

## ასოციაცია „დეა“ პროექტის „გზა ინკლუზიისაკენ“ პრაქტიკული



ასოციაცია „დეა“-მ მიმდინარე წლის 28 თებერვალს თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ საკონფერენციო დარბაზში პროექტის „გზა ინკლუზიისაკენ“ ფინანსური პრეზენტაცია ჩაატარა, რომელიც განხორციელდა 2012 წლის ნოემბრიდან 2014 წლის თებერვლამდე პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის, საქართველოში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის პროცესში მეტი ჩართვისა და მათი ზეგავლენის გაძლიერების გზით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები მიმართული იყო კეთილგონივრული საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში; საგანმანათლებლო ინსტიტუციებსა და მშობლებს/მეურვეებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებასა და ჩართვაზე, საზოგადოების გათვითცნობიერებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და საჭიროებების სფეროში და შესაძლებლობათა შეზღუდვის საფუძველზე დისკრიმინაციის მიმართ მისი სენსიტიურობის ამაღლების ხელშეწყობაზე.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა:

პროექტის ფარგლებში შემუშავებული სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ალტერნატიული მოდელი და საქართველოს საჯარო სკოლებში მოდელის პილოტირების შედეგები, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დამყარებული ეფექტიანი სასკოლო პოლიტიკის რეალიზაციაზე, მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობის არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების გზების შესახებ ძირითად მონაწილეთა და დაინტერესებულ მხარეთა ხედვების შესწავლაზე მიმართულ კვლევებზე, აგრეთვე, წარმოდგენილი იყო შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მონიწივე პრაქტიკის ანალიზის შედეგები.

გაიმართა დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში განათლების ხელმისაწვდომობასთან, შუამ პირთა სოციალურ – უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებზე

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან საქართველოს მიერთების შესახებ, პარლამენტის გადაწყვეტილებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კანონის მიღების წერილობით.

პრეზენტაციაზე მონაწილე იყვნენ: საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, თბილისის მერიისა და საკრებულოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, განათლების რესურს-ცენტრების, მედიის, სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, მათ შორის, სასკოლო ცხოვრების ძირითადი აქტორები – მშობლები, პედაგოგები, სასკოლო ადმინისტრაციების წარმომადგენლები.

პროექტი – „გზა ინკლუზიისაკენ“ განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის თანადაფინანსება თავის თავზე აიღო გაეროს ბავშვთა ფონდმა.

პროექტის განხორციელებაში ასოციაცია „დეას“ პარტნიორები იყვნენ: GNN-თი ჯგუფი, საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია, პროექტის ასოცირებული წევრები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, ასოციაცია „ანიკა“, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია“.

**ქეთევან ჭილაძე**  
**იმპერტიის რეგიონის კორესპონდენტი**

**ტრენინგი ქუთაისში**



24 თებერვალს ქალთა უფლებებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის PHR-მა, ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე ტრენინგი ჩაატარა.

ტრენინგი პროექტის – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მეინსტრუქციული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“ ფარგლებში მიმდინარეობდა, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება, პარტნიორ ორგანიზაციებთან „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“-ს და „დამოუკიდებელი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრი“-ს თანამშრომლობით. ამავე შეხვედრაზე მოენყო სემინარი საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის“ ანალიზისა და მასში შესატანი აუცილებელი ცვლილებების შესახებ. სემინარს ქალაქ ქუთაისის ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საქველმოქმედო ასოციაცია „მონყალების,, ასევე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები დაესწრნენ. შეხვედრა დაიწყო ერთმანეთის გაცნობით და პროექტის წარდგენით. ქალბატონებმა ანა არგანაშვილმა და ანა აბაშიძემ საინტერესოდ ისაუბრეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და გენდერული

თანასწორობის, საქართველოს მიერ ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი, ურთიერთგადამკვეთი ვალდებულებების (cross-cutting issues) შესახებ.(un cedaw, un crpd, un 1325 and sister resolutions, upr). ასევე ისაუბრეს, რომ აუცილებელია გააქტიურება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებისა და რესურსების რეგიონალური ერთიანობა შშმ ქალთა უფლებების ადვოკატირების, დაცვის და მონიტორინგის აქტივობებში.

ეროვნული კანონმდებლობის ირგვლივ შედგა ჯგუფური მუშაობა, სადაც მიმოიხილეს კანონმდებლობის იდენტიფიცირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების დაცვის, ძალადობის პრევენციისა და მონიტორინგის კუთხით (საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“.

შეხვედრის ბოლოს მოხდა სამუშაო ჯგუფების პრეზენტაცია. ეს ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, მადლობას ვუხდით ანა აბაშიძეს, ანა არგანაშვილს და კობა ნადირაძეს ასეთი შინაარსის ტრენინგები ძალზე საჭიროა ინფორმირებისა და ცნობიერების ასამაღლებლად. სასიამოვნოა ორგანიზაციასთან „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ თანამშრომლობა, რომელიც იმედია გარძელებს და მომავალში გაღრმავდება.



### აქტიური პოლიტიკის განხორციელება საქართველოში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოში იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების კენესოს უნივერსიტეტის პროფესორი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ქალბატონი ჯილ ვილიამსი, რომელიც საქართველოს საჯარო სკოლების ინკლუზიური განათლების კოორდინატორებს, სპეციალურ მასწავლებლებსა და ფსიქოლოგებს ტრენინგებს უტარებს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის საერთაშორისო გამოცდილებას უზიარებს.

სემინარის მონაწილეები ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით, საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით მსჯელობენ, განიხილავენ სსს მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიას და ცდილობენ ინკლუზიასთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვა პერსპექტივიდან დაინახონ და გაიაზრონ.

ინტერაქტიური სემინარი და მიღებული ინფორმაცია ქართველ სპეციალისტებს დიდ დახმარებას გაუწევს ემოციური, ქცევითი და სწავლის პრობლემების, ფიზიკური შეზღუდვისა და აუტისტიური სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში.

ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართულ სპეციალისტებს ამერიკელი პროფესორის გამოცდილებები გაზიარება კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარებათ, რაც საბოლოოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მათი მუშაობის ხარისხზე აისახება.

ინკლუზიური სწავლება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, განათლების სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია. ამ მიზნით, სამინისტრო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

### ფინანსთა მინისტრის განმარტება დაუბავრავი მინიმუმის დაბრუნების თაობაზე

**„600 000-მდე ჩვენს თანამოქალაქეს დაუბრუნდება თანხა და ჩვენ ბანკებთან ერთად ვიმუშავებთ, რათა მინიმალური ხარვეზებიც არ იყოს ამ პროცესში“, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.**

დახლოებით 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი მოქალაქე, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარს უკან მიიღებს, - აცხადებენ შემოსავლების სამსახურში. - საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, დაუბეგრავი მინიმუმის გაცემის მექანიზმებთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურსა და კომერციულ ბანკებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა.

2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება შეიტანა, რაც დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის, რომელთა წლიური დარიცხული შემოსავალი 2013 წელს არ აღემატებოდა 6000 ლარს, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარის უკან დაბრუნებას გულისხმობს.

ხელისუფლების ეს ინიციატივა დაახლოებით 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი გადამხდელის მხარდაჭერას ითვალისწინებს.

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად მოქალაქე შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე **www.rs.ge** განთავსებულ შესაბამის ფორმაში, მხოლოდ პირადი ნომრისა და თავისი საბანკო რეკვიზიტის მითითებით, ავსებს ელექტრონულ დეკლარაციას და აქვე იღებს ინფორმაციას მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობის შესახებ.

დეკლარაციის შევსება შესაძლებელია, როგორც სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით, ასევე, საბანკო დაწესებულებაში.

**დღეს გაფორმებული მემორანდუმის შედეგად, მოქალაქეებს შეუძლიათ, ისარგებლონ შემდეგი ბანკების მომსახურებით: სს ბანკი „რესპუბლიკა“; სს „პრივატბანკი“; სს „თიბისი ბანკი“; სს „საქართველოს ბანკი“; სს „ლიბერთი ბანკი“; სს „ბაზისბანკი“; სს „ქართუ ბანკი“; სს „კორსტანდარტ ბანკი“; სს „ბანკი კონსტანტა“; სს „ფინკა ბანკი საქართველო“.**

ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მოქალაქეს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, დაუბრუნდება დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრის მეშვეობით: 2 299 299 ან შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შემდეგ მისამართზე: info@rs.ge; www.rs.ge“ - აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.**

### შშმ პიტთა საჭიბრეშესა და ადაფინრეშული გატრმთის ადცილეშ სტრატეგიატე შეხედრტა გაინტათა

რამდენად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ის გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურა დაუბრკოლებლად გადაადგილებისთვის, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე განსაკუთრებული საჭიროებების ადამიანთა მომსახურებისთვის, მუნიციპალური

ტრანსპორტი შეუფერხებელი მგზავრობისთვის - ამ პრობლემებზე, 18 თებერვალს, ზუგდიდში, ადგილობრივი თვითმმართველობის, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით კიდევ ერთხელ იმსჯელეს.

შეხვედრის ინიციატორი ასოციაცია „ჰანგის“, წარმომადგენელმა რუსლან საჯიამ აუდიტორიას

ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში წარმოებული კვლევა გააცნო და ფოტომასალა წარუდგინა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით წლების მანძილზე დამონტაჟებულ პანდუსებს და მთლიანად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ გაუმართავ ინფრასტრუქტურულ გარემოს ასახავს



რუსლან საჯაიას თქმით, უკვე შემუშავდა 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო სტრატეგია, სადაც განერილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციისთვის აუცილებელი ქმედებები.

„ადრეც იყო მსგავსი გეგმა, თუმცა ამ დოკუმენტიდან რეალურად მხოლოდ ერთი პუნქტი განხორციელდა, რომელიც ინკლუზიურ სწავლებას შეეხებოდა. ესეც მთელი რიგი დარღვევებით. ახალ სტრატეგიაში მეტ-ნაკლებად არის ასახული საჭიროებები, მაგრამ განერილია პასუხისმგებლობები, რაც მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ,“ - აღნიშნა რუსლან საჯაიამ.

მისივე თქმით, მათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასაც მიმართეს ე.წ. ხელმისაწვდომობის საბჭოს შექმნის ინიციატივით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით

რაციის ხელშეწყობისთვის აუცილებელ საკითხებზე მომუშავე ადამიანებით დაკომპლექტდება, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

„ის, რაც წლების მანძილზე გაკეთდა გარემოს ადაპტირებისთვის, რა არის - ცინიზმი, გულგრილობა თუ დაუდევრობა? საზოგადოება დღემდე ინერციით მოდის. ჩვენგან უნდა წამოვიდეს იმპულსები, რომ მსგავს პრობლემებზე გამახვილდეს ყურადღება. ასევე, თუკი არ იციან განმარტოვებულმა, მივანოდოთ მათ სტანდარტი შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად,“ - განაცხადა რუსლან საჯაიამ და დასძინა, რომ პარალელურად მნიშვნელოვანია ერთგვარი ფსიქოლოგიური მიდგომის შემუშავებაც იმ პირთა მიმართ, ვინც ფიქრობს, რომ მისთვის ცხოვრება უკვე დასრულდა.

თავის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გურგენ სართანიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია ყველა იმ პრობლემის შესწავლა, რაც დღეს ამ მიმართულებით არსებობს, ვითარების ანალიზი და ეფექტური ქმედების განხორციელება.

„ეს არის რეალობა, რასაც დღეს ვხედავთ. მხოლოდ საუბრები, რატომ არ კეთდებოდა გასულ წლებში, ისევ წარსულში დაგვტოვებს. ჩვენ შედეგი გვინდა. ამიტომ შენობების რეკონსტრუქციისას ან ახლის მშენებლობისას ამ პირთა საჭიროებები გათვალისწინებული იქნება,“ - განაცხადა გურგენ სართანიამ.

ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ეკატერინე თოდუამ აღნიშნა, რომ უკვე შედგა ქუჩების პროექტირება, ხარჯთაღრიცხვა და მოინიშნა ყველა ის კოორდინატი, სადაც პანდუსები უნდა გაკეთდეს.

*ჩვენ გვმართებს აღიარება, რომ ჩვენ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებობა ჩვენი მრავალფეროვნების კიდევ ერთი სიმდიდრეა.*

*ნელსონ მანდელა*

ეკატერინე ტოგონიძე; მწერალი, პუბლიცისტი

## „ასინქრონის“ პტერნაციამდე და მას შემდეგ



„ასინქრონამდე“ უკვე დანერგილი მქონდა „მომისმინე“, „ს-ხ-ვ-ა გ-ზ-ა“ და კიდევ რამდენიმე მოთხრობა, რომელიც შეზღუდულ შესაძლებლობებს ეხება.

მანამდე, ჟურნალისტად მუშაობისას, მწერლებთან ინტერვიუში მეც

ვსვამდი კითხვებს თემის არჩევის მოტივაციაზე, მაინტერესებდა, რამდენად ცხოვრებისეულ-ბიოგრაფიული იყო ლიტერატურაში აღწერილი მოვლენები ავტორებისთვის.

ერთ-ერთმა მიპასუხა: მხატვრული ლიტერატურა არის ის, რაც შეიძლება მომხდარიყო და - არა ის, რაც მოხდა.

ახლა ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც მართლაც მოხდა:

ნიგნის პრეზენტაციამდე რამდენიმე დღით ადრე, ჯერ კიდევ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების წამოწყება ნაყოფიერი იქნებოდა, აქცია „მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ,“ ნამდვილად შედგებოდა და ორი პატარა გოგონას ორთვიანი მედიკამენტისთვის თანხა სრულად შეგროვდებოდა.

ერთხელ მაინც თუ გამოგიცდიათ სახსრების მოძიების სირთულე, თუნდაც საქველმოქმედო მიზნით, გეცოდინებათ უსიამოვნო განცდა უთანაბრობისა. ის ვისაც, აქციაში ჩართვას სთავაზობ,

ზოგჯერ არ ან ვერ გისმენს, ზოგჯერ კი, უბრალოდ, როგორც ხელგანვდილს, ისე გიყურებს. სოციალური პასუხისმგებლობა ხომ ნებაყოფლობითი საქციელია და ნაკლებ ენთუზიაზმს იწვევს და მაშინ, როცა ემოციურად ამ პროცესის გაძღვება მიჭირდა, მახსენდებოდა ორი გოგონა, რომელთა სურათებიც მხოლოდ ფეისბუქზე მქონდა ნანახი და რომელთა სიცოცხლისთვისაც აუცილებელია ნამალი.

უსიამოვნო შემთხვევებმა უკეთ გამაცნობიერებინა რეალობა, შემახსენა, რომ გზა რთულია და გრძელი, სიხარულთან ერთად იმედგაცრუებით სავსე...

ვიცი, ერთი ან ორი თვის მედიკამენტური მკურნალობით ამ ბავშვების პრობლემა არ წყდება. საქართველოში მათ გარდა დიდი თალასემიის მქონე კიდევ რამდენიმე ათეული მოზარდია.

ამ დაავადებასთან ერთად კი სხვა უამრავი მძიმე სენია, რომლის მკურნალობაც ხშირად დიდად აღემატება ოჯახისა და ახლობლების შესაძლებლობებს.

ასევე ვიცი, რომ ერთი და ორი ღონისძიებით, სადაც სტუმრებს შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები იქნებიან, ვერ მოხერხდება საზოგადოებაში ბალანსის აღდგენა და მათი ინტეგრირება.

ერთი სიტყვით, ამ ილუზიებისგან გათავისუფლებაში მწარე გამოცდილებას თავისი წვლილი აქვს - მეტად გაფიქრებს გამოსავალზე და ახალი ნაბიჯებისკენ გიბიძგებს.

ყოველთვის მჯეროდა, რომ განვითარება და სასიკეთო ცვლილებები საკუთარი თავიდან იწყება. მე აქამდე არაფერი ვიცოდი სისხლის გენეტიკური დაავადების, თალასემიის შესახებ, რომელიც საქართველოსგან განსხვავებით, ბევრ სხვა ქვეყანაში შეტანილია იშვიათ დაავადებათა ნუსხაში ანუ მოქმედებს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა.

არც ის ვიცოდი, რომ თალასემიის, ლეიკემიის, სიმსივნის თუ სხვა უმძიმეს დაავადებათა მქონე ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიაში შედიან.

ჩემთვის მსოფლიო სტატისტიკაც სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 10%-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა ანუ ყოველი მეათე, მეცხე ან მერვე ჩვენგანი!

სიმართლე რომ ვთქვა, ვიყენებდი სიტყვა „ინვალიდსაც“ და „უნარშეზღუდულსაც“, რომლებიც დამამცირებელი და არასწორი ტერმინებია. შეცდომებისგან, ალბათ, არც მომავალში ვარ დაზღვეული... თუმცა, ძალიან ვეცდები ნაკლებად დავეშვა.

ჩემი პირველი რომანის სიხარული თითქმის გადაფარა დაგეგმილი საქველმოქმედო აქტივობების შესრულებამ:

გაყიდული 160 წიგნიდან შემოსული თანხა ხმარდება სემინარს, რომელიც სტუდენტებს შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე ჩაუტარდებათ და მათი ცნობიერების ამაღლებას მოემსახურება;

შატო-მუხრანის მიერ მოზარდებისთვის დაიგეგმა ინკლუზიური ექსკურსია;

ფეხბურთის ფედერაციის და ჯეოსელის

მხარდაჭერით, რომელთაც სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ წლების გამოცდილება აქვთ, მოხერხდა ნინისა და მარის მედიკამენტების უზრუნველყოფა, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ბევრისთვის უცნობ დაავადებაზე - დიდ თალასემიაზე.

სანამ ჩემს წიგნზე სხვები საუბრობდნენ, მე დარბაზს ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ეს ერთიანობა გამონაკლისი კი არა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება უნდა იყოს. მწერალი, თეონა დოლენჯაშვილი, რომელიც სალამოს უძღვებოდა, ჩემი უახლოესი მეგობარია. მის ხმაში შეპარული მღელვარება, ჩემი მეგობრების დროზე ადრე მოსვლა და ჩვეულებრივზე მეტი გულისხმიერება, სტუმრების სიმრავლე, მოლოდინი და კეთილგანწყობა ჩემთვის კიდევ ერთი ნიშანი იყო, რომ იმ სალამოს მნიშვნელოვანმა ემოციამ გაგვაერთიანა.

ბაკურ სულაკაურმა ღონისძიების შემდეგ მითხრა, რომ ეს პირველი პრეზენტაცია იყო, სადაც ემოციასთან ერთად მისთვის ახალი და სასარგებლო ინფორმაცია მიიღო.

ამ სალამოს მერე ჩემმა მეგობარმა, რომელიც საუკუნის პოეზიის ანთოლოგიას აკეთებს, პოეტების სიას გადახედა, რომ კრებულს რაიმე ნიშნით კარგი ავტორი არ გამოაკლდეს და ინკლუზიური იყოს...

მე კი მივხვდი, რომ მეტი ცოდნა მჭირდება ამ მიმართულებით. პირველად გავატარე ჩემი ცხოვრების 90 წუთი უსინათლოდ - გავიარე სივრცეში ორიენტაციის ერთდღიანი ტრენინგი და დავრჩი ინსტრუქციების, ხმების, სურნელის, ინტუიციის და, პირდაპირ ვიტყვი, შიშის პირისპირ. თვალახვეულმა, თუნდაც რამდენიმე წუთით, იმაზე მეტი დავინახე, ვიდრე ხილული ვხედავდი.

ეს და სხვა დეტალები, პრეზენტაციის მერე მიღებული თბილი სიტყვები და შეფასება ჩემთვის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

ნელსონ მანდელას სიტყვებით, (რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის „ვიმეგობროთ“, სტრატეგიაში ამოვიკითხე და „კვირის აზრების“, ვიდეო ბლოგშიც გამოვიყენე)

„ჩვენ გვმართებს აღიარება, რომ ჩვენ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებობა ჩვენი მრავალფეროვნების კიდევ ერთი სიმდიდრეა“. ამ სიმდიდრის დანახვას და აღქმას ძალისხმევა სჭირდება. ადამიანებისთვის გამარჯვება ხომ, დოლის ცხენებისგან განსხვავებით, ე.წ. შორების ჩამოხსნით და ფართო, შეუზღუდავი ხედვითაა შესაძლებელი.

ჩვენი ბუნება ისედაც მიდრეკილია არსებულის გადაკეთებისა და საკუთარ თავზე ან კლიშეებზე მორგებისკენ. დიდი ნიჭია მიიღო და გიყვარდეს სამყარო ისეთი ამოუწურავი, როგორიც არის... ეს ნიჭი ყველა ადამიანშია, თუ ბავშვობაში არ ჩაიკარგა.

**და ბოლოს, რადგან იბადება კითხვა, რატომ ვწერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე, ვიტყვი, რომ უფრო ის მანუხებს, აქამდე რატომ არ ვწერდი, არ ვფიქრობდი და არ ვდარდობდი მათზე.**

კიდევ ერთხელ მადლობა ყველას სიტყვიერი, მეგობრული, იდეური, შემოქმედებითი თუ ფინანსური მხარდაჭერისთვის...

თეონა დოლენჯაშვილს, სალომე სულაბერი-



ძეს, ქეთი ნიჟარაძეს, გია ჯვარშიშვილს, თაკო როდონაიას, გელა მეგრელიძეს, ირა მიქელაძეს, დათო ჯანიაშვილს, ქართლოს კახიძეს, მოძრაობის თეატრის მსახიობებს, კახა ბაკურაძეს, ანა კორძაია-სამადაშვილს, ლაშა ბულაძეს, გივი შაჰნაზარს, ნანა ექვთიმიშვილს, ნინო ექვთიმიშვილს, ოთო გიორგაძეს, ელენე ოთარაშვილს, ნინო ნეკერიშვილს, ნინო ნადიბაიძეს, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას,

თინათინ სამყურაშვილს და ყველა ჩემს სტუმარს, განსაკუთრებული მადლობა ჯეოსელს, ფეხბურთის ფედერაციას!

შხარდამჭერებს: შატო მუხრანი, ვაინ მენი, კულა, ნარცისი, სნო

თქვენს გარეშე ეს საქმე ნიგნის დაწერას ვერ გასცდებოდა.

ქეთევან ჭილაძე  
იმერეთის რეგიონის კორესპონდენტი

**მომავლის იმედით**

ჩენი კორესპონდენტი ქეთევან ჭილაძე საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი (გოგა) გოგატიშვილს შეხვდა. მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს ბატონ გოგა გოგატიშვილთან.

**ბატონო გოგა, როდიდან დაიწყეთ შშმ პირთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა?**

მე ეტლით მოსარგებლე შშმ პირი ვარ. 2002 წელს სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოვეყევი ავტოკატასტროფაში და ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმა მივიღე.



**რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ავტოკატასტროფაში მოჰყვეით?**

ბევრი რამ, შეიძლება ითქვას, კარდინალურად. პირველ რიგში ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. გადარჩენის შემდეგ კი დიდი შოკი. სამხედრო პირისთვის (ვმსახურობდი თავდაცვის სამინისტროს საჩხერის სპეცდანიშნულების სამთო ნაწილში ლოჯისტიკის ოფიცრად), რომელსაც მანამდე ფრჩხილიც არ მტკივებია, ძალზე დნელი გასააზრებელი და გასაცნობიერებელი აღმოჩნდა ეს საკითხი, რაშიც ძალიან დამეხმარა 2003 წელს უკრაინაში, ყირიმში ქ. საკში აკადემიკოს ნ.ბურდენკოს სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრში (სანატორიუმში) ორთვიანი კურსის გავლა. იქ მოხდა პრობლემის ძირეული გააზრება, გაცნობიერება და ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. იქ გავიცანი ბევრი ქართველი შშმ პირი: დათო

ლევერაშვილი, რომელიც იქ ცხოვრობს უკვე დიდი ხანია და ძალიან ეხმარება და გვერდში უდგას საქართველოდან ჩასულებს გიორგი ახმეტელი და გიორგი ალაფიძე, რომლებიც შშმ პირთა ორგანიზაციას „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ ხელმძღვანელობენ. უკრაინიდან რეაბილიტაციის კარგი კურსის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა თანამოაზრეებთან ერთად დავაფუძნე „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი“, რომლის გამგეობის თავმჯდომარე ვარ, გვაქვს პატარა წარმატებებიც. ძალიან ვმადლობ უფალს, რომ ავტოკატასტროფაში გადამარჩინა (სადაც ორი ჩემი მეგობარი: გივი ჩიხლაძე და კობა შუკაკიძე გარდაიცვალნენ) და სულ სხვა სამყარო დამანახა, რომელიც ჩემს შშმ პირად გახდომამდე თუ არსებობდა, სამწუხაროდ, არ ვიცოდი. ვერ ვიტყვი, რომ შშმ პირობა ძალიან კარგია, მაგრამ ვიტყვი, რომ უდავოდ საინტერესოა. როგორც შშმ პირმა სულ სხვა თვალთ შევხედე ცხოვრებას, ისეთი საკითხები და პრობლემები გავაცნობიერე, მანამდე მათი არსებობაც არ ვიცოდი.

**რა პროფესიის ბრძანდებით?**

1995 წელს დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით.

**ამჟამად სად მუშაობთ?**

როგორც ვთქვი ა. (ა). ი. პ. „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე ვარ.

**ბატონო გოგა რა არის თქვენი ორგანიზაციის მიზანი და ამოცანა?**

საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, რეგისტრირებული კავშირი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციას (DPO), რომელიც შშმ პირთა საკითხებსა და პრობლემებზე მუშაობს. ორგანიზაციის მიზანია ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერება აამაღლოს და შშმ პირთა სამოქალაქო უფლებები და ინტერესები დაიცვას.



**ახალი მთავრობისგან პირადად თქვენს ორგანიზაციას, რაიმე საინტერესო შემოთავაზება ხომ არ გქონიათ?**

საინტერესო კითხვაა. ვიტყვი, რომ ყველა დროსა და ყველა მთავრობის პირობებშია საჭირო უფლებებისთვის ბრძოლა. არსად, არც ერთ სახელმწიფოში არ მიუერთმევიათ ლანგრით საზოგადოებისთვის არაფერი, ყველგან ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვეს ადამიანებმა თავიანთი უფლებები. საჩხერის ახალ ადგილობრივ ხელისუფლებას პირიქით, ჩვენ შევთავაზეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. ვიტყვი რამდენიმეს: გაეროს შშმ პირთა კონვენციის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა ჩართულობა; შშმ პირთა საჭიროებისთვის ამ ეტაპზე ერთი ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების (მიკროავტობუსის) შეძენა; შშმ პირთა სპორტის განვითარების პროგრამის დაფინანსება. ვერ ვიტყვი, რომ ეს საკითხები უკვე მოგვარებულია, როგორც ყოველთვის, უფრო ბევრს გვიპირდებიან, ვიდრე აკეთებენ. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ პატარა წარმატებებიც გვაქვს ამ მიმართულებით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადმოიღო შემხვედრი ნაბიჯი, რომელიც, იმედი მაქვს, შეუქცევადი პროცესი გახდება. ვიტყვი იმასაც, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მისი თავმჯდომარის ქ-ნ ინგა ზაბახიძის ინიციატივით, გამგეობის სოციალურ სამსახურს დაემატა ერთი შტატი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში კონკრეტულად შშმ პირთა საკითხებს გაუწევს კოორდინაციას და კურირებას. რაც ჩემი აზრით კაგია, თუ რა თქმა უნდა, ადგილობრივ ბიუჯეტში შშმ პირთა სხვადასხვა პროგრამების რაოდენობა და დაფინანსება გაიზარდა. საერთოდ ჩვენი ორგანიზაცია ამ ეტაპზე ადვოკატირების შიდა მეთოდებს იყენებს და თუ ეს მეთოდები უშედეგო აღმოჩნდება, რა თქმა უნდა, გამოვიყენებთ ადვოკატირების გარე მეთოდებს, რომლებიც ასე ვთქვათ, უფრო რადიკალურია.

**უფრო ჩაგეკითხებით, ბატონო გოგა, კონკრეტულად რომელ მეთოდებს გულისხმობთ?**

ალბათ, ადვოკატირების გარე მეთოდებზე მეკითხებით, არა? აქ ვგულისხმობ საპროტესტო აქციებს, საჯარო კრიტიკას და ა.შ.

**ვის წინააღმდეგ გეგმავთ საპროტესტო აქციებს?**

არ ვამბობთ, რომ საპროტესტო აქციებს ვგეგმავთ. ვამბობთ, რომ თუ ადვოკატირების შიდა მეთოდები უშედეგო აღმოჩნდება, მაშინ გამოვიყენებთ ადვოკატირების გარე მეთოდებს ანუ საჯარო კრიტიკას, საპროტესტო აქციებს და ა.შ.

**როგორც ვიცით თქვენს მონაწილეობა მიიღეთ კოალიციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, გვიამბეთ რა პროექტია ეს?**

„კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ „შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირების“ პროექტის ფარგლებში 2013 წლის ზაფხულში გამოაცხადა—საგრანტო კონკურსი თბილისსა და დასავლეთ საქართველოს 4 რეგიონში: იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში. ჩვენმა ორგანიზაციამ წარადგინა პროექტი — „ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო - გზა სოციალური ინტეგრაციისაკენ“, რომელმაც გაიმარჯვა იმერეთის რეგიონში. პროექტი ხანგრძლივობაა-7თვე. პროექტის მიზანია: საჩხერის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა თემის გაძლიერება და გააქტიურება, მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის გაზრდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მასმედიასთან, არსამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, კერძოდ, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე შშმ პირთა შელწევადობისა და მათი რაოდენობის გაზრდა.



ბატონო გოგა, ცნობილია, რომ 2013 წელს საქართველოს მთავრობამ მოახდინა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას და რა მოლოდინი გაქვთ?

2013 წელი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შშმ პირთა დაცვის წლად გამოცხადდა. რაც უფრო იყო სიმბოლური, მაგრამ შშმ პირთა თემის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საქართველოს ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტამ მოახდინა შშმ პირთა გაეროს კონვენციის რატიფიცირება. რაც უფრო დიდი მონაპოვარი და წინ გადადგმული ნაბიჯია. კონვენცია შესასრულებლად სავალდებულოა. კონვენციის მიხედვით შშმ პირი არ განიხილება, როგორც შემონირულობის, სოციალური დაცვის და მკურნალობის ობიექტი, არამედ ის განიხილება, როგორც უფლებების სუბიექტი და საზოგადოების აქტიური წევრი. კონვენცია იძლევა შშმ პირთა უფლებების უნივერსალურ ცნობადობას.

პირადად მე ძალიან დიდი მოლოდინი მაქვს, რომ მოხდება მისი იმპლემენტაცია (განხორციელება) და მისი პრინციპების საქართველოში დანერგვა, რაც შშმ პირთა მდგომარეობას საქართველოში გააუმჯობესებს. დიდი იმედი მაქვს აგრეთვე მონიტორინგში შშმ პირები და შშმ პირთა ორგანიზაციები ნაყოფიერად ჩაერთვებიან სახალხო დამცველის ოფისთან ერთად.

გისურვებთ დიდი წარმატებებს. გამაღობთ.

გიორგი ჯანელიძე

# პატარა ქოხის ისტორია

ეს ამბავი, თავდაპირველად, გაზეთმა “კვირის პალიტრამ” გაახმაურა, რომელსაც კვალდაკვალ ჩვენც მივყევით.



„მარშალ გელოვანის გამზირი 6, მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის ბოქსები, ზემოთა ოთახი“- ამ მისამართს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უკან მდებარე პატარა დასახლების ერთ-ერთ ქოხთან, ტალახიანი გზით მივყავართ, რომელშიც 26 წლის ნატა ჯიხვაძე სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად, უკვე 10 წელია ცხოვრობს. უკიდურეს გაჭირვებას ბავშვების ავადმყოფობა ემატება. ერთ-ერთ მათგანს სასწრაფოდ ესაჭიროება თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიის გადაღება, რომელიც შესაძლებელს გახდის ბავშვისთვის სწორი დიაგნოზის დასმასა და დროული

სამედიცინო დახმარების განწევას. თუმცა, აღნიშნული პროცედურა 600 ლარი ღირს და შესაბამისად, სოციალურად დაუცველ ოჯახს ამ თანხის გაღების საშუალება არ აქვს. ნატას უმცროსი შვილი რამდენიმე დღის წინ გამოწერეს ინფექციური საავადმყოფოდან, სადაც კუჭ-ნაწლავის დაავადება დაუდგინეს და ამჯერად უკვე ამბულატორიულ მკურნალობას ექვემდებარება. როგორც ახალგაზრდა ქალბატონი ამბობს, მართალია, მეზობლებმა და უცხო ადამიანებმა გარკვეული თანხა შეუგროვეს, მაგრამ ვინაიდან, ხშირად უწევს ბავშვების ამა თუ იმ კლინიკაში სხვადასხვა ახლად აღმოჩენილი დაავადებით მოთავსება, მისთვის განუვლი დახმარება ელემენტარული საარსებო პირობების შექმნისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა. ტერიტორიაზე შესვლისას, რომელიც იმდენად პატარა და მოუვლელია, რომ ეზოს ნამდვილად ვერ დავარქმევ, ორი მცირე ზომის ხის კონტრასტული ნაგებობა შეგხვდებათ. ერთი-ძველი, ფიცრული, რომელშიც ძნელი წარმოსადგენია, რომ სამშვილანი დედა 10 წელი ცხოვრობდა, ხოლო მეორე-ევროპული კოტეჯის ტიპის ხის სახლი ე.წ. მეტალო-პლასტმასის კარფანჯრით. ორივე მათგანი ნატასია. ახალში რამდენიმე თვეა ცხოვრობს, ხოლო ძველს სათავსოდ იყენებს. იგი დღემდე ემადლიერება ფოტოგრაფ მარი ნაკანს, რომლის თანადგომითა და შუამდგომლობით, ხუთშვილიანი პოლონელი მეცენატისა და ფონდ „იავნანას“ დახმარებით, აიგო ეს სიმპათიური პატარა სახლი. მერე რა, რომ იგი სრულებით „იკარგება“ ძველი შენობის ნანგრევებისა და უგემოვნოდ ნაშენები სახლების ფონზე. კოტეჯში სადილი ელექტროქურაზე მზადდება. თუმცა, ოჯახს დღემდე არ აქვს გაზი და წყლის გამაცხელებელი დანადგარი, რომელიც მარტოხელა დედას ბევრ საყოფაცხოვრებო პრობლემას მოუხსნიდა. **მარი ნაკანი „მეგობრებისა და სხვა კეთილი ადამიანების წყალობით, ანაბარზე თანხა პერიოდულად მერიცხება, რასაც კვებისთვის და ნამღებებისთვის ვიყენებ. ხანდახან მანვდიან მეორად სამოსს, მაგრამ ძირითადად ისეთ შელახულ მდგომარეობაშია და იმდენი ლაქა მოჰყვება, რომ ბავშვებს ვერ ვაცმევ-მეშინია, ამის გამო ბალიდან ან სკოლიდან არ გამომივდონ. შესაბამისად, ძალიან გვჭირდება „გამოსასვლელი“ ტანსაცმელი“**, – გულისწყვეტით მეუბნება სოციალურად დაუცველი ქალბატონი. ნატა იხსენებს, რომ თავდაპირველად ქუჩაში ცხოვრობდა. შემდეგ ცოლად გაჰყვა მამაკაცს, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი ბინა და მასთან კონფლიქტის შემდეგ სამი შვილით ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბევრი სხვა შეჭირვებულისგან განსხვავებით, ნატა ჯიხვაძე სახელმწიფოს უმოქმედობაში არ ადანაშაულებს. პირიქით, იგი სოციალურ დახმარებასაც იღებს და ბავშვთა კვების ვაუჩერსაც (80 ლარი), რომელიც მისი თქმით, მართალია, დღევანდელ პირობებში ბევრი არ არის, მაგრამ ბავშვები, ასეა თუ ისე, შიმშილს არ განიცდიან. **„სესხი მაქვს გამოტანილი 1000 ლარის ოდენობით. მქონდა პრობლემები. კრედიტით ორი ბანკის ვალი დავფარე და ახლა ეს სესხი მაქვს გასასტუმრებელი“** – ამბობს მარტოხელა დედა, რომელიც ისევ და ისევ კეთილი ადამიანებისა და იმ სოციალური დახმარების იმედად არის, რომლის დიდი ნაწილიც სწორედ სესხის ეტაპობრივად დაფარვას ხმარდება და იქიდან თითქმის აღარაფერი რჩება. კეთილი ადამიანები კი, ჩვენს ქვეყანაში არცთუ ისე ცოტანი არიან.



ეს გზა უდიდესი ნებისყოფის მქონე ადამიანის გზაა, ისეთი ადამიანის, როგორცაა ვალენტინ დიკული. მაგრამ, რა გავაკეთოთ ჩვენ, უბრალო ადამიანებმა? ყველა ვერ ფლობს სიცოცხლისადმი ლტოლვის ასეთ ძლიერ ძალას და სიმტკიცეს. შესაძლებელია, ვინც აქამდე წაიკითხა ეს წერილი, ალბათ ფიქრობს, რომ „მე ამას ვერ შევძლებ!“ მაგრამ, ის ძალიან ცდება. გულს ნუ გაიტყვით. თქვენ მოგეხმარებათ არსებული სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც თქვენს ქვეცნობიერებაში შეიტანს საჭირო განწყობას. ამიტომ, ჩვენ გაგაცნობთ სპეციალურ მეთოდებს, ვისწავლით, როგორ ვმართოთ ქვეცნობიერება. ეს იქნება ჯანმრთელობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები, რომელსაც აუცილებლად მიაღწევთ საკუთარი რწმენისა და ნებისყოფის ხარჯზე.

არსებულ სპეციალურ მეთოდებს შორის, ერთ-ერთი მათგანია **ვიზუალიზაცია** (ქვეცნობიერებას ვაძლევთ გამოჯანმრთელების დავალებას).

მე-20 საუკუნის 20-ან წლებში პრადის უნივერსიტეტში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაამტკიცა, რომ ძლიერი ნეგატიური ემოციები შეიძლება გახდეს ადამიანის ავადმყოფობის მიზეზი. ეს დაამტკიცა თანამედროვე დაკვირებებმაც მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების გამოყენებით. უფრო მეტიც, სტრესსა და მის მიერ გამოწვეულ ავადმყოფობას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რომ ადამიანის მიერ გადატანილი სტრესების ძალით ხანდახან შეიძლება ვინინასწარმეტყველოთ მისი შედეგები. ნეგატიურ ემოციებს (სტრესებს) ადამიანი მიჰყავს ავადმყოფობამდე. ავადმყოფობა კი თავის მხრივ პროვოცირებს დაძაბუნებას, დაძაბულობას, ჩაკეტილობას და ა.შ. ამრიგად, წრე იკვრება და ასეთ მდგომარეობას ხშირად იქამდე მიჰყავს ავადმყოფი, რომ ის ვეღარ იტანს საკუთარ სხეულს, სხვაგვარად განწყობა ამ დაავადების მიმართ და ეს გაძლიერებული შიში აძლიერებს სულისა და სხეულის კონფლიქტს.

რა ვქნათ, როგორ უნდა მოვილაპარაკოთ საკუთარ ორგანიზმთან, რომ გადავდგათ პირველი ნაბიჯი გამოჯანმრთელებისაკენ? აი, აქ კი, ჩვენ მოგეხმარება ვიზუალიზაცია.

არსებობს ვიზუალიზაციის სამი პრინციპი:

**პირველი პრინციპია – “ყოველთვის არსებობს ენერჯია”**

ჩვენი სამყარო ენერჯიაა. მთლიანი მატერია, რომელსაც გააჩნია პატარა და კიდევ უფრო მცირე ზომის ნაწილაკები, ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ იგი სუფთა ენერჯიაა. ენერჯია იწვევს რხევებს, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა სიხშირე და ამგვარად იძენს სხვადასხვა ხარისხს.

აზრი – ენერჯიის შედარებით მსუბუქი, უფრო დახვეწილი ფორმაა, ამიტომ ის სწრაფად და მსუბუქად იცვლება. მატერია უხეშია, ის ენერჯიის მკვრივი სახეა, ამიტომ მატერია ნელა მოძრაობს და ცვლილებას ნელა განიცდის. ენერჯიის ყველა ფორმა ურთიერთკავშირშია და შეუძლიათ ურთიერთზეგავლენა. ასე ცვლის აზრი მატერიას.

**მეორე პრინციპი – “იდუის შემდეგ ფორმაა”.**

როდესაც რამეს ვქმნით, პირველ რიგში ჩვენ მას ვქმნით აზრობრივად. მაშინვე წარმოვიდგენთ მას გონებაში. აზრსა და იდეას მოსდევს მისი აღსრულება – „უნდა ვისაუზმო“, ეს ის აზრია, რომელიც წინ უსწრებს საჭმლის მიღებას. „უნდა დავიძინო“ ვფიქრობთ ჩვენ, სანამ დავწვებით ლოგინში. მოქანდაკეს პირველად წარმოესახება აზრი (ეგრეთნოდებული „აღმაფრენა“), ხოლო ამის შემდეგ ის ქმნის თავის სკულპტურას.

აზროვნება დეტალური სქემის შექმნის მსგავსია. პირველად ქმნის ფორმის შესაბამის (გამოსახულების) აზრობრივ სახეს. შემდეგ ეს გამოსახულება აგზავნის ენერჯიას წარმოსახული ფორმის შესაქმნელად, რომელიც საბოლოოდ იქმნება და ფიზიკური ფორმით გვევლინება და მაინც, თუ ჩვენ არ ვეცდებით მის შესრულებას, სულ ერთია, ეს აზრი მაინც მუშაობს. აკი, თვით აზროვნების პროცესი შემოქმედებით ენერჯიას წარმოადგენს, რომელიც ცდილობს, აზრის ფიზიკურ ფორმაში გადატანას, აზრის რეალობაში მოყვანას. მაშასადამე, თუ თქვენ მუდმივად ფიქრობთ ავადმყოფობაზე, მაშინ აუცილებლად გახდებით ავად ან პირიქით. თუ ფიქრობთ გამოჯანმრთელობაზე, აუცილებლად გამოჯანმრთელდებით.

**მესამე პრინციპი – “რასაც დათესავ, იმას მოიმიკი”.** ყველაფერი ის, რასაც ჩვენ გავცემთ, აუცილებლად გვიბრუნდება უკან. ამიტომ, ჭეშმარიტად ასეა – „რასაც დათესავ, იმას მოიმიკი“.

ენერჯიის კანონის თანახმად განსაზღვრული ხარისხისა და ვიბრაციის ენერჯია ცდილობს მიიზიდოს მსგავსი ხარისხისა და ვიბრაციის ენერჯია, ცდილობს, მსგავსმა შეიერთოს მსგავსი. აზრი (როგორც უკვე ვიცით ენერჯია) იზიდავს ბუნების ენერჯიას. უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩვენ ვიზიდავთ იმას, რასაც ვფიქრობთ, რაც ძალიან გვჯერა, რაც ძალიან გვინდა, რასაც სულის სიღრმეში ველოდებით და იმას, რაც ნათლად წარმოვიდგენია. თვითონ არ იცით, მაგრამ თქვენ საკუთარ თავზე არაერთხელ გამოსცადეთ ამ პრინციპის მუშაობა და მიიღეთ შესაბამისი შედეგი. გაიხსენეთ, იყო შემთხვევები, რაღაც ჩაიფიქრეთ, ვილაცხაზე და რაღაცაზე და უცებ, ის მაშინვე გამოგეხმარათ ან მიიღეთ მასზე საჭირო ინფორმაცია.

თუ ჩვენ რაიმეს ვეკიდებით დადებითად, განვიცდით სიხარულს, კმაყოფილებას და ბედნიერებას იმიტომ, რომ ჩვენ მივიზიდავთ ისეთ ადამიანს, შევქმნით ისეთ სიტუაციას და მოვლენას, რომელიც შეესაბამება ჩვენს მოლოდინს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს კანონი მარტო სასიკეთოდ არ მუშაობს. როდესაც ჩვენ რაღაცის გვეშინია, ვღელავთ, ვიზიდავთ ზუსტად იმ ადამიანებს, იმ სიტუაციას და მოვლენას, რომლისაც გვეშინია და ვერიდებით. ასე, რომ, თუ თქვენ მუდმივად ფიქრობთ იმაზე რომ თქვენ ცუდად (ავად) გრძნობთ თავს, ბოლოს და ბოლოს თქვენი ორგანიზმი დაიჯერებს რომ ავადაა და ავად გახდებით.

ვიზუალიზაცია გვეხმარება განსაზღვრული ენერჯიისა და აზრის ჯანმრთელობის შესახებ წარმოქმნაში, რომელიც იზიდავს სამყაროს ენერჯიას (ჯანმრთელობის ენერჯიას) და რეალური ხდება.

3. უზუნდოვო

# უნდა ირწმინო, რომ გაიმარჯვო, ანუ 60 ვარჯიში სიცოცხლისათვის

(რუსულიდან თარგმნა თეიმურაზ მიქიაშვილმა) გაგრძელება, დასაწყისი №2

ვიზუალიზაცია ერთმანეთს აკავშირებს გონებას და სხეულს. ის საშუალებას იძლევა სხეულს „ავადმყოფობის წარმომქმნელი“ აზრების მაგივრად დადებითი აზრები, გაუგზავნოთ ოცნების ის ხატი, რომლის აღსრულებისაკენაც მივიღტვით. არ დაგვაინყდეს, რომ ჩვენ ვქმნით (ვაყალიბებთ) ჩვენს ჯანმრთელობას გონებრივი დარწმუნებით. თავი უნდა განვანყოთ იმაზე, რომ დაბადებიდან უფლება გვაქვს, ვიყოთ ჯანმრთელი, ლამაზი, ენერგიული და ბედნიერი. აი, ასეთ განწყობას შეუძლია, მოგვცეს სამკურნალო ენერგია.

### რა უნდა გავაკეთოთ ვიზუალიზაციისათვის?

ვიზუალიზაციისათვის თავიდან საჭიროა მოდუნება. მეცნიერებმა გაარკვეეს, რომ არსებობს ტვინის მოქმედების ორი დონე. ბეტა-დონე (ტვინის მოქმედება ჩვეულებრივი აქტიურობის მდგომარეობაში) და ალფა-დონე, როდესაც ტვინის ელექტრონული აქტიურობა იცვლება, ნელდება და გადადის ბეტა-დონიდან ალფა-დონეზე. ზუსტად, ეს ალფა-დონეა ჩვენი ქვეცნობიერება. მაგრამ, რომ მივალნიოთ მას, საჭიროა ბეტა-დონის გამოთიშვა. ამიტომ, პირველ რიგში, ვისწავლოთ ამ მდგომარეობის მიღწევა.

ვიზუალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია თვითდაჯერება. საკუთარი თავისთვის იმ ფრაზებისა და სიტყვების მტკიცება, რომლებიც წარმოქმნის დადებით, სამკურნალო ენერგიას. მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი აზრები და სიტყვები გამოდის ჩვენი შეგნებიდან (ცნობიერებიდან) და როგორ აღწევს ქვეცნობიერებაში. გვეჩვენება, თითქოს ეს ყველაფერი უბრალოა: უმტკიცე შენს თავს, რომ ჯანმრთელი ხარ და მორჩა! მაგრამ ჩვენი მესხიერების ბანკში შენახულია აზრები წარსულზე. ასე, რომ მარცხმა, რომელიც თქვენ განიცადეთ ბავშვობაში, თუ უახლოეს პერიოდში და რომელიც ახლა გეჩვენებათ სრულიად უმნიშვნელოდ, შეუძლია შექმნას ნეგატიური განწყობა. მენტალური ვარჯიშის დროს ჩვენ ვიშორებთ, ვთავისუფლდებით ამ ძველი, უარყოფითი აზრებისაგან და ვცვლით (ჩავანაცვლებთ მათ) დადებითი აზრებით. ამისათვის კი ჩვენ დაგვჭირდება წარმოსახვა, დაგვჭირდება ვისწავლოთ და ეფექტურად გამოვიყენოთ ჩვენი წარმოსახვის სიძლიერე. ვიზუალიზაციის მეცადინეობის დროს აუცილებლად უნდა შევქმნათ მენტალური (აზრობრივი) ხატი (აზრობრივი ფორმა) და შემდეგ კი ეს წარმოსახული ხატი რეგულარულად გვქონდეს ფოკუსირებული ჩვენი ყურადღების ცენტრში. გავგზავნოთ მისკენ დადებითი ენერგია მანამადე, სანამ არ გახდება რეალური. თუ

თქვენ ვიზუალირებთ და თავი წარმოგიდგენია ჯანმრთელად, მაშინ ჯანმრთელი აზროფორმა გახმოვანდება ჯანმრთელ ტალღაზე და თქვენი ორგანიზმიც განენყობა მასზე. აი, ეს არის ჯანმრთელობის ვიზუალიზაცია. ვიზუალიზაციის დახმარებით შეიძლება აზროფორმის (აზრობრივი ფორმის), ნებისმიერი მოვლენის და ნებისმიერი პროცესის აზრობრივი ფორმის შექმნა: ახალი ბინის ყიდვა, დიდი რაოდენობის ფულის მიღება, ბედნიერი ოჯახური ცხოვრება და ა.შ. რაც უფრო ხშირად განიცადით ვიზუალიზაციას, მით უფრო მეტი იქნება მისი აღსრულების (შესრულების) ალბათობა.



### რა შეუძლია ვიზუალიზაციას?

- მისი დახმარებით შეიძლება:
- შიშისა და დაძაბულობის მოხსნა;
- შინაგანი რეზერვების გააქტიურება;
- არასასურველი ემოციების გამკლავება, რომლებსაც შეუძლიათ ავადმყოფობის წარმოშობა;
- სხეულის გარდაქმნა სიხარულისა და კმაყოფილების საფუძვლად;
- საერთო დაძაბულობის დაქვეითება და სტრესული სიტუაციების შემცირება;
- იმუნური სისტემის, ჰორმონალური წონასწორობის აღდგენა;
- სიტუაციის კონტროლში მოქცევის გრძობის გამომუშავება;
- საერთო უძლურების წინააღმდეგობა და ავადმყოფობის მიმდინარეობის რადიკალურად შეცვლა.

ვიზუალიზაციას ამერიკელი მეცნიერები კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად წარმატებით იყენებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ არსებობს განსაკუთრებული ხერხები (მეთოდები), რომლებიც შემეცნების საშუალებით აზრების კონცენტრაცი-

ით ახდენენ ზემოქმედებას ორგანიზმზე, მის ცალკეულ ნაწილებსა და ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე. შემეცნების საშუალებით შესაძლებელია თვალნათლივ წარმოვიდგინოთ კიბოს ფიზიკური ფორმა, დავინახოთ ის, თუ როგორ ანადგურებს მკურნალობა მის უჯრედებს, და რაც მთავარია, ვიხილოთ თუ როგორ ეხმარება ორგანიზმს ბუნებრივი დამცავი მექანიზმები გამოჯანმრთელებაში.

პაციენტი, რომელიც შეირჩა ექსპერიმენტისათვის, გახლდათ 61 წლის მამაკაცი და დაავადებული იყო ყელის კიბოს ერთ-ერთი ფორმით, რომელიც, პრაქტიკულად, არ იკურნება. იგი ძალიან იყო დასუსტებული და წონაში სწრაფად იკლებდა. გაძნელებული ჰქონდა სუნთქვა და ძლივს ყლაპავდა ნერწყვს. კლინიკის ექიმები წინააღმდეგნი იყვნენ ამ მეთოდით მკურნალობით, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ეს მეთოდი მისთვის ვერაფერს შეცვლიდა და პაციენტი მხოლოდ ტანჯვას მიაყენებდა.

მაგრამ კარლ სიმენტონმა (ამ მეთოდის ავტორმა) მტკიცედ გადაწყვიტა, ჩაერთო ეს პაციენტი მკურნალობის პროცესში. სულ ერთია, არაფერი იყო დასაკარგი. მან აუხსნა პაციენტს, თუ რა უნდა გაეკეთებინა. რომ შეეცვალა დაავადების მიმდინარეობა, სიმენტონმა პაციენტისათვის შეიმუშავა რელაქსაციისა და წარმოსახვის შესწავლის პროგრამა. ავადმყოფს დღეში სამჯერ – დილით, მაშინვე გაღვიძების შემდეგ, დღისით, სადილობის შემდეგ და საღამოს, ძილის წინ, ხუთიდან თხუთმეტ წუთამდე დრო უნდა დაეთმო განსაზღვრული ვარჯიშებისათვის. ამ ვარჯიშების დროს მოხერხებულ მდგომარეობაში (სავარძელში, დივანზე, სკამზე და ა.შ.) დამჯდარს უნდა მოეკრიბა მთელი აზრი და ყურადღება უნდა გადაეტანა თავისი სხეულის კუნთებზე და უნდა ებრძანებინა მოდუნება თხემიდან ტერფამდე ყოველი ჯგუფის კუნთებისათვის.

როცა ის მიაღწევდა მოდუნების (რელაქსაციის) მდგომარეობას, მას უნდა წარმოედგინა თავისი თავი სადმე წყნარ, სასიამოვნო ადგილზე, მჯდარ მდგომარეობაში ხის ქვეშ, ნაკადულთან ან ნებისმიერ სიტუაციაში, რომელიც ხელს შეუწყობდა სასიამოვნო განწყობას. წარმოსახვით იქ დარჩენილიყო იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებდა და უნდა ეცადა, რაც შეიძლება გარკვევით (ნათლად) წარმოედგინა მის ორგანიზმში (ამ შემთხვევაში ყელში) განვითარებული სისმსივნე ნებისმიერი ფორმით. შემდეგ პაციენტს უნდა წარმოედგინა, რომ რადიოთერაპიის (მისი მკურნალობის მეთოდი) მიერ წარმოქმნილი მილიონობით უმცირესი ნაწილაკების ენერჯის ნაკადი თავის მოძრაობის გზაზე როგორ ანადგურებდა, როგორც ჯანმრთელ, ასევე კიბოს უჯრედებს. მხოლოდ კიბოს უჯრედებს არ უნდა შეძლებოდა აღდგენა ასეთი შეტყვის შემდეგ, რადგან ისინი იყვნენ შედარებით სუსტი და არაორგანიზებული, ვიდრე ჯანმრთელი უჯრედები და ამიტომ უნდა დაღუპულიყვნენ.

შემდეგ პაციენტს უნდა წარმოედგინა დასკვნითი სურათი. კიბოს დაღუპული უჯრედებისა-კენ მიემართებიან შედარებით მსხვილი სხეულები, ისინი იღებენ (აგროვებენ კიბოს დაღუპულ და მომაკვდავ უჯრედებს) და თირკმელებისა და ღვიძლის საშუალებით გამოყოფენ ორგანიზმიდან. ვიზუალ-

იზაციის დროს პაციენტს უნდა წარმოედგინა, თუ როგორ მცირდებოდა სიმსივნის მოცულობა და როგორ უბრუნდებოდა ჯანმრთელობა. ამ ვარჯიშების შესრულების შემდეგ მას შეეძლო, შედგომოდა თავის ყოველდღიურ საქმეს.

გასაოცარი რამ ხდებოდა პაციენტის თავზე. რადიოთერაპია მიმდინარეობდა ძალიან წარმატებით. პრაქტიკულად, არც კანზე და არც პირის და ყელის ლორწოვან გარსზე არ აღენიშნებოდა გვერდითი რეაქციები. უკვე შუა მკურნალობის დროს შეეძლო თავისუფალი ჭამა. გაძლიერდა და წონაში მოიმიატა. კიბოს სიმსივნე უფრო და უფრო მცირდებოდა.

პაციენტის საქმე კარგად მიდიოდა და ბოლოს და ბოლოს, ორი თვის შემდეგ, მას გაუქრა კიბოს ყველა ნიშანი!!!

ეს პაციენტი ახლა დარწმუნებული იყო, რომ ავადმყოფობის მიმდინარეობაზე ზემოქმედება შეიძლებოდა. კიბოს დამარცხების წარმატებული ცდის შემდეგ, გადაწყვიტა ასეთივე მეთოდით თავი დაეღწია ართრიტისაგან, რომელიც მრავალი წელი აწუხებდა. მან წარმოიდგინა თუ როგორ ასწორებდა სისხლიანი თეთრი სხეულები მისი ხელფეხის სახსრების ხორკლიან ზედაპირს მანამდე, სანამ ხრტილოვანი ზედაპირი ისევ გახდებოდა სწორი და პრიალა. და ამ ექსპერიმენტმაც გაამართლა. მან თავისუფლად დაიწყო არა მარტო სიარული, არამედ თევზაობაც კი. გამარჯვებამ, ისევ დამუხტა შემდეგი გამარჯვების რწმენით და გადაწყვიტა, შეეცვალა თავისი სექსუალური ცხოვრება. მას ხომ იმპოტენცია მთელი 20 წელი საშინლად სტანჯავდა. ეს უკვე საოცრება იყო. რამოდენიმე კვირის შემდეგ, სექსუალური აქტიურობა მთლიანად აღუდგა.

როდის შეიძლება კიდევ გამოვიყენოთ ვიზუალიზაცია? მისი გამოყენება შეიძლება არა მარტო ავადმყოფობის დროს, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საჭიროა ფიზიოლოგიური პროცესების ოპტიმალური მუშაობა მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის, სილამაზის შენარჩუნების, შრომისუნარიანობის ამაღლებისათვის და ა.შ. ვიზუალიზაცია ასევე გვეხმარება ავადმყოფობის არიდებაში მაშინ, როდესაც ავადმყოფობა იწყებს განვითარებას. ვიზუალიზაცია გვეხმარება ორგანიზმის დაცვითი ძალების გაძლიერებაში. მაგალითად, თუ თქვენ დგახართ შხაპის ქვეშ ან იღებთ აბაზანას, წარმოიდგინე (ივიზუალირეთ) წყალი როგორ ადუნებს, აწყნარებს და კურნავს თქვენს ორგანიზმს ან წარმოიდგინეთ, რომ წყალში იხსნება, ითქვიფება და ირეცხება თქვენი ყოველი პრობლემა. როდესაც იცხებთ მაღამოს სახეზე ან სხეულზე, წარმოიდგინეთ, რომ თქვენი კანი სწორდება და ლამაზდება. როდესაც ასრულებთ რაიმე ვარჯიშს, (მაგალითად, აკეთებთ დაჭურვას ან ასრულებთ სპეციალურ ვარჯიშებს) შეუთავსეთ მათ აზრობრივი ვიზუალიზაცია. წარმოიდგინეთ, თუ როგორ გამოდის სხეულიდან ან ავადმყოფობის კერიდან ნეგატიური ენერჯია. წარმოიდგინე ის, როგორც შავი სხივები, მაგრამ აუცილებლად ბოლოში ნათელი სხივებით ან ნაპერწკლებით. ეს ნაპერწკლები აღნიშნავს, რომ ავადმყოფი (შავი) ენერჯია მაშინვე გადამუშავდა ნათელ (ჯანმრთელ) ენერჯიად და არავის არასდროს მიაყენებს ზიანს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიორგი ჯანელიძე

ფსიქიატრიული დაწესებულების მენეჯმენტი



გასული წლის გაზაფხულზე, „ადამიანის უფლებათა ცენტრმა,“ სახალხო დამცველის ოფიციალური რწმუნებით, საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი ჩაატარა. იურისტებისა და ჟურნალისტებისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა ფსიქიატრიული კლინიკებისა და პაციენტთა მდგომარეობა დეტალურად შეისწავლა. ორთვიანი კვლევის შედეგები არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი სპეციალური ანგარიშის სახით გამოქვეყნდა. კვლევა საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრიდან დაიწყო. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ბენეფიციარები ყველაზე კომფორტულად გრძნობენ თავს. პაციენტებს აქვთ ყველა პირობა, რათა ისინი ამა თუ იმ ხელსაქმით, კომპიუტერული თამაშებითა თუ სპორტული აქტივობებით დაკავდნენ და, რაც მთავარია, საზოგადოებისგან გარიყულად არ იგრძნონ თავი. „გარიყულობა“ ერთ-ერთი ყველაზე დამთრგუნველი ფაქტორია, რაც ამ ადამიანების ყოფას გაუსაძლისს ხდის. ზემოხსენებული დაწესებულება კი, როგორც თავად დაერწმუნდი, ამ გარიყულობისგან დროებით გასაქცევად საუკეთესო ადგილია. **პაატა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის** ყოფილი პაციენტია, რომელმაც ამავე დაწესებულებაში მიიღო სამუშაო ადგილი და ახლა უკვე სხვა ბენეფიციარებს ეხმარება რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში: **„მას შემდეგ, რაც დაავადება აღმომიჩინეს, 10 წელი გავიდა. წამლებითა და ინტენსიური თერაპიით შევძელი მდგომარეობიდან გამოსვლა. შემდეგ მოვედი რეაბილიტაციის ცენტრში, ჩავერთე ადვოკატირების ჯგუფში, რომელიც საავადმყოფოებში იცავდა პაციენ-**

ტთა უფლებებს. ვმუშაობდი ინტენსიურად და ნელ-ნელა დავინყე ჩემი თავის რეალიზება“. მარიამიც ამავე ცენტრის ბენეფიციარია, რომელიც, როგორც ამბობს, ამ დაავადებით ცხოვრების შესწავლას 22 წლის წინ შეუდგა: **დღესდღეობით ფსიქიატრიულ პაციენტებს უკვე დიაგნოზსაც აცნობენ და მკურნალობის მეთოდებსაც. მათ ასწავლიან, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ამ დაავადებასთან ერთად. მე ურთულესი გზა გავიარე. ბოლო 15 წელი უკვე კარგად ვგრძნობ თავს, რაც იმის შედეგია, რომ „მე ვიპოვე ძალა ჩემში და მოვინდომე, მაგრამ ყველა ხომ არ არის ასეთი?!“**

რეაბილიტაციის ცენტრის ყოფილი პაციენტი ოლგა წუხს, რომ მთავარი პრობლემა კვლავ, პაციენტთა რეაბილიტაციაა: **ყველაზე დიდი აქცენტი კეთდება წამლებზე. დისპანსერებში გაცემული წამლები ძალიან უხარისხო და ბაზარზე არსებული პროდუქციიდან ყველაზე იაფფასიანია. მხოლოდ ეს ფსიქოტროპული მედიკამენტები არასაკმარისია ადამიანის გამოსაჯანმრთელებლად. ამისთვის რეაბილიტაციასთან ერთად, საჭიროა თვითდახმარების ჯგუფების შექმნა ან მათი დასაქმება. თუკი მსგავსი სერვისი საქართველოში არ განვითარდა, ეს ადამიანები დარჩებიან საავადმყოფოებში ან ოჯახებში, გარე სამყაროსგან სრულიად იზოლირებულნი ისევე, როგორც მანამდე იყვნენ. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარებს ე.წ. სიმპტომებისა და მედიკამენტების მართვის ხანგრძლივი პროცესის გავლა მოუხდათ იმის შესასწავლად, თუ როგორ უნდა აკონტროლონ თავიანთი დაავადება და ამავედროულ-**



ად, როდის და რა დოზით უნდა მიიღონ ესა თუ ის ფსიქოტროპული პრეპარატი. რამდენიმე პაციენტს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ტრენინგიც კი აქვს გავლილი, რომელიც ასწავლის, თუ როგორ დამყარონ ურთიერთობა გარე სამყაროსთან. როგორც მათ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, ეს საუკეთესო ბაზაა მათი რეაბილიტაციისთვის. ისინი ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ ხანგრძლი-

ვი ფსიქო-თერაპია მდგომარეობიდან მათი გამოსვლის საუკეთესო საშუალებაა. რამდენიმე წლის წინ, ცენტრის პაციენტთა ერთმა ნაწილმა ათკაციანი ფეხბურთის გუნდი შექმნა, რომელიც ინტენსიური ვარჯიშითაა დაკავებული და დღემდე წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირში. ბენეფიციარები გულისწყევით აღნიშნავენ, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 1% იხარჯება სარეაბილიტაციო ღონისძიებებში, რაც თავისთავად, არასაკმარისია ამ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. როგორც კვლევამ აჩვენა, მილიონნახევრიან თბილისში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მხოლოდ ერთი დაწესებულება ფუნქციონირებს, რომელიც დღის საათებში მაქსიმუმ ორმოც პაციენტს ემსახურება. რაც შეეხება რეგიონებს, მაგალითისთვის, ქვემო ქართლში მსგავსი დღის სარეაბილიტაციო დაწესებულება საერთოდ არ არსებობს. ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების დღემდე გადაულახავი ბარიერი კი, რაც თავისთავად, მათ ყოველდღიურ განწყობასა და საგნების მიმართ მათ განსხვავებულ დამოკიდებულებაში აისახება, ისევე და ისევე ინტეგრაციას უკავშირდება. სასიხარულოა, რომ შესაძლებელი გახდა მედპერსონალის გადამზადება და მათ უკეთ გააცნობიერეს თავიანთი უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, ისინი პაციენტთა უფლებებს დღეს უკეთ იცავენ, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ. „როცა წამლებზე ხარ დამოკიდებული, საზოგადოება მაინც ეჭვის თვალით გიყურებს, თუმცა, ამას პირში არავინ გეუბნება. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ამ კლიშეების დარღვე-



ვას და სოციუმთან კონტაქტში შესვლას“, ნუსხა პაატა და ყოველდღიური ცხოვრებიდან მის მიერ განცდილი, თუნდაც უნებლიე დისკრიმინაციის არაერთ ფაქტს იხსენებს. „ფსიქიკური დაავადება უკვე ნიშნავს იმას, რომ ადამიანს აქვს გარკვეული თავისებურებები. გარეგნულად ეს ნაკლებად ჩანს, მაგრამ მეც ასოციალური ადამიანი ვარ. ჩემი კომპლექსებით, ინტერნეტში უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე საზოგადოებაში. აუცილებელია სპორტული ჯგუფების შექმნა და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზება. კარგი იქნებოდა სპეციალური სახელოსნო-

ების მოწყობა, სადაც მოხდება ბენეფიციარების სხვადასხვა სასარგებლო საქმით დაკავება და მათთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მათ ისეთებს მიიღებენ, როგორებიც არიან“ – ამბობს ოლგა, რომელიც ნამდვილად არ უჩივის საინტერესო იდეების ნაკლებობას, თუმცა, როცა სათანადო მხარდაჭერა არსაიდან ჩანს, ახალი ინიციატივაც მხოლოდ თაროზე შემოდებულ იდეად რჩება. ცენტრიდან მარიამი გვაცილებს და ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისთვის მართლაც გამამხნეველ გზავნილს გვატანს: „მინდა საზოგადოებამ დაინახოს, რომ ჩვენ გადასადგები ხალხი არ ვართ. ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს და შეგვიძლია, წლების მანძილზე დაგროვილი ინფორმაცია სხვებს გავუზიაროთ. ზოგიერთი პაციენტი თავისი დარგის უნიჭიერესი სპეციალისტია, მაგრამ მოხდა ასე, თორემ რომელ ადამიანს უნდა ავად გახდომა. ალბათ, ეს ჩვენი ხვედრია. მე მინდა ხმა მივანვიდინო მათ, ვისაც პრობლემა აქვს ან ვისაც არ აქვს, მაგრამ შეიძლება შეექმნას ან ვისაც ჯერ არ გაუთავისებია, ისწავლოს ურთიერთობა ჩვენნაირ ადამიანებთან. ქრონიკული და მწვავე ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა მდგომარეობის შესასწავლად, მონიტორინგის ჯგუფი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს ესტუმრა, რომლის მთავარმა კონსულტანტმა, შოთა გამყრელიძემ დარგში არსებული პრობლემები მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორით ახსნა: „მხოლოდ თბილისში ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისთვის გამოყოფილი იყო 1200 საწოლი, დღეს მათ ეთმობა 350 ადგილი. ამასთანავე, შემოიღეს ახალი წესები. 1 კვირაში გამოჯანმრთელებული პაციენტი ფსიქიატრიის ისტორიას არ ახსოვს. ჯანდაცვის სამინისტროს განკარგულების თანახმად, მწვავე ფორმის მქონე პაციენტი 2 კვირაში უნდა გავწეროთ ან უნდა გადავიყვანოთ „ქრონიკულში“. აღნიშნულ განყოფილებაში კი პაციენტის ყოფნის მაქსიმალური ვადა, დაახლოებით 40 დღეა. მედიკამენტები ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ძალიან ძვირია. ავლიპ ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით, ჩვენ გვექონდა ფსიქიატრიის ინსტიტუტი, რომელიც საკავშირო მნიშვნელობით მეორე თუ არა, მესამე მაინც იყო. დღეს იგი აღარ არსებობს. აღარ მიმდინარეობს მეცნიერული მუშაობა. როგორც ჩანს, ქართული მეცნიერება აღარ არის საჭირო“. ცენტრის დირექტორი, ირაკლი გამყრელიძე ფსიქიატრიის დარგში არსებულ პრობლემებს 90-იანი წლებში დაწყებულ სტაგნაციის პერიოდს უკავშირებს: „ეს იყო 15-20 წლიანი “მკვდარი” პერიოდი, როდესაც ქვეყანაში არაფერი ვითარდებოდა, ამ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ინვესტირება არ ხორციელდებოდა და სამწუხაროდ, ბოლოს ძალიან მძიმე შედეგები მივიღეთ. არის ძალიან განსხვავებული ახალი და ძველი ინფრასტრუქტურა. ძველ ინფრასტრუქტურაში მოიაზრება ძალიან მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები,



რომლის განახლება არსებული ფინანსური რესურსების პირობებში დაწესებულებისთვის ძალიან რთულია. დღეის მდგომარეობით, არასწორია გეოგრაფიული განაწილება, ვინაიდან, აღმოსავლეთ საქართველოში სანოლების რაოდენობა მცირეა, დასავლეთში-შედარებით მეტი. ბათუმსა და ქუთაისში არის შედარებით დიდი ზომის დაწესებულებები, ქუთაისის ცენტრი წარმოადგენს მოქნილ, პატარა სტრუქტურას, როგორც სახითაც უნდა იყოს წარმოდგენილი ასეთი ტიპის ცენტრი. რეგიონებში არსებული მდგომარეობის საილუსტრაციოდ, მონიტორინგის ჯგუფთან ერთად, შპს სურამის ქაჯაიას სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში შევიხედეთ. დირექტორი ვახტანგ ამირანაშვილი უმთავრეს პრობლემად სახელმწიფოსგან მიღებულ მწირ დაფინანსებას ასახელებს. შპს სტატუსის შესაბამისად, დაწესებულებას კომუნალური ხარჯების კომერციული ტარიფით დაფარვა უნევს, რაც კლინიკისთვის „დამანგრეველი“ დარტყმაა. მას არ ავიწყდება წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა ურიცხვი დაპირებაც, რომელთაგან არც ერთი არ არის შესრულებული: უცბად ჩამოვიდნენ, გაზომეს ყველაფერი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები უნდა დაეწყათ. თან გამიკვირდა, ზამთარში რა რემონტი უნდა გაეკეთებინათ? მერე ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ჭიაბერაშვილი ჩამოვიდა. ისიც შეგვიპირდა ყველაფრის გაკეთებას. სურამის კლინიკური საავადმყოფო თავისი ადგილმდებარეობით ხელმისაწვდომია იმერეთის რეგიონისთვის. 7 რაიონს ვემსახურებით, 2500 ადამიანი დისპანსერულ აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი. ეს დაწესებულება

სხვა რეგიონალური კლინიკებისგან მართლაც განსხვავდება. პაციენტები თბილ დღეებს ძირითადად დიდ ეზოში ატარებენ. შესამჩნევია, რომ მათზე ზრუნავენ. ეს ადამიანები სურამის დაწესებულებაში თავს დაცულად გრძობენ. აღსანიშნავია პერსონალისა და პაციენტთა განსაკუთრებით თბილი ურთიერთდამოკიდებულება, რასაც, ფორმანის „კუკუშკაზე“ გაზრდილი კაცი („ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“) ვერასოდეს წარმოვიდგენდი. აქ, როგორც აღმოჩნდა, პრობლემებს მხოლოდ გარეშე პირები ქმნიან. როგორც პირად საუბარში გვითხრეს, ყოფილა შემთხვევა, როცა ნასვამი სურამელები ბავშვებით მისულან, „გიჟები“ დაგვანახეთო... მონიტორინგის შედეგები სახალხო დამცველს წარედგინა და საბოლოო ასახვა მის ყოველწლიურ ანგარიშში ჰპოვა. უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველი: „ჩვენს მიერ დეტალურად განერილია ის რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში გარკვეული პროგრესის მისაღწევად. მთავარი მაინც სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროს მიზერული თანხებით დაფინანსებაა. ვფიქრობ, აქ მთავარი საქართველოს პოლიტიკაა. თუკი იგი იქნება სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლაზე ორიენტირებული, ძალიან ბევრი ნაბიჯის გადადგმა იქნება რეალურად შესაძლებელი“. ერთი სიტყვით, მონიტორინგის შედეგებიც სახეზეა, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ანგარიშიც და ომბუდსმენის რეკომენდაციებიც. ახლა ჯერი სახელმწიფოზეა, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ფსიქიატრიული პაციენტებით განვირინდებთ თუ მათ გარეშე.

სოფო აფციაური

**მორიბი ღაკირება უშუპ პირებს „თბილისს აღაკტირებელი ავტობუსები ეყოლება“**

რამდენიმე თვეში თბილისში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის ადაპტირებული ავტობუსები იმოდრავებს - ეს დაპირება საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ხაჩირიშვილმა საკრებულოსთან შეკრებილ შუპ პირებსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ღია ცის ქვეშ, აქციის ფონზე მისცა: „გარანტიას გაძლევთ, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია, გარკვეული ეკონომიების ხარჯზე, ქალაქს ადაპტირებული ტრანსპორტი რამდენიმე თვეში ეყოლება,, - განაცხადა ხაჩირიშვილმა და აქციის მონაწილეების კიდევ ორ მოთხოვნაზე მზაობა გამოთქვა.

კერძოდ, 22 მარტს გაიმართება საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომა, სადაც უშუალოდ შუპ პირები იქნებიან ჩართულები. ამ შეხვედრაზე თბილისში ადაპტირებული ტრანსპორტის შესაძენად ტენდერის გამოცხადების თარიღი დაზუსტდება და სიტყვიერი დაპირება იურიდიულად გაფორმდება.

გარდა ამისა, აქციის მონაწილეების მოთხოვნით, მომავალში თბილისის მერიის მიერ ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს მერიამ უნდა გაითვალისწინოს შუპ ადამიანების მოთხოვნები და საჭიროებები: „პირობას ვიძლევი საჯაროდ, რომ ნებისმიერი პროექტის განხორციელების დროს, მერია თქვენს საჭიროებებს გაითვალისწინებს და ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მოხდება“.

შეგახსენებთ, 2013 წლის 4 ნოემბერს თბილისის მერიამ 100 ახალი, ევროპული სტანდარტის ავტობუსის შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. თუმცა, ეს ტენდერი მალევე თბილისის ბიუჯეტის ჩავარდნის მიზეზით შეჩერდა: „საკრებულოს ახალმა უმრავლესობამ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები



საზოგადოების ინტერესებზე მალა დააყენა. შედეგად, თბილისის მერია იძულებული გახდა, ის პროექტები შეეჩერებინა, რომელთა განხორციელება თბილისელების კეთილდღეობას ემსახურებოდა. მათ თბილისელებს წაართვეს ახალი, კომფორტული ავტობუსები“, - ეწერა თბილისის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, სადაც ასევე სა-

უბარი იყო, რომ საკრებულოს მიერ 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემთხვევაში, თბილისის მერია მზად არის, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით მიიღოს გადაწყვეტილება ახალი, კომფორტული ავტობუსების შესაძენად ტენდერის თავიდან გამოცხადების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ვიმეგობროთ“ წარმომადგენელი გია ჯვარშიშვილის თქმით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ინტერესები საკრებულოსა და მერიის ინტერესებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს: „მერია საკრებულოს აბრალებს, საკრებულო კი მერიისკენ იშვრს ხელს. დღეს თავად საკრებულოს წარმომადგენელმაც ისაუბრა, რომ პრობლემა თვითონ ტენდერის ჩატარების დროს იყო და ამაზე სისხლის სამართლის საქმეცაა აღძრული. თუმცა, ეს ბიუროკრატიული პროცედურები შშმ ადამიანებს არ აინტერესებთ, მათ რეალური მხარდაჭერა უნდა იგრძნონ. კარგია, რომ დღევანდელი შეხვედრა გარკვეული შეთანხმებით დასრულდა და იმედი მაქვს, კომისია ისეთი ადამიანებით დაკომპლექტდება, ვინც არანაირ კომპრომისებზე აღარ წავა“, - ამბობს გია ჯვარშიშვილი.

**რედაქციისაგან**

წელს მოდის თვითმმართველობის არჩევნები, ჩვენ ვართ ამომრჩევლები. შშმ პირები, მათი ოჯახები და მეგობრები. რამდენი ვიქნებით? ყველას უნდა ესმოდეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მხარდამჭერები საკმაოდ ანგარიშსგასანევი ძალაა და ჩვენი საარჩევნო ხმის მოპოვება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად გაუწევინ ანგარიშს ჩვენს სასიცოცხლო საჭიროებებს. ეს ყველამ უნდა გაითავისოს და მიხვდეს, რომ ევროპული გზა, არა მარტო დეკლარაციებზე ხელის მოწერა და კონვენციების რატიფიცირება, არამედ რეალური ნაბიჯების გადადგმა და საქმის კეთებაა.

**ნენსი კ. ჯინი**


**გაგრძელება, დასაწყისი N4**

**ბავშვი ცერებრული დამბლით – დახმარება, მოვლა, განვითარება**

**როგორ განვსაზღვროთ სწავლის უნარი?**

მშობლები, როდესაც აკვირდებიან ბავშვის განვითარებას, ბუნებრივია, მას ადარებენ თავის ან სხვა ბავშვებს. ისინი აღნიშნავენ, რომ სხვა ბავშვებთან შედარებით, მათი ბავშვი როგორ სწრაფად „იღებს“ სხვაგვარს უნარებს, იქნება ეს თამაში, ოჯახში ყოველდღიური მოქმედებები, კითხვა, წერა და ა.შ. ფსიქოლოგიც დაახლოებით ასეთ შედარებებს იყენებს, მაგრამ ინტელექტის განვითარების დონის გამოსავლენ უფრო სისტემატურ, სპეციალურად დამუშავებულ და წლობით გამოყენებულ ტესტებს „იღებს“ შეიარაღებაში“. ისინი სა-

შუალებას აძლევენ ფსიქოლოგს, საკმაოდ ზუსტად დაადგინოს, თუ რას შეიძლება მოველოდეთ ბავშვისაგან, მაშინ, როდესაც ის იქნება, ვთქვათ, ორი ან სამი წლის. მაგალითად, ორი წლის ბავშვს უნდა შეეძლოს განსაზღვრული დავალების შესრულება, რომელიც შემუშავებული იყო ამ ასაკისათვის (კუბებისაგან კოშკის აგება, სათამაშოების, ან სურათების განსაზღვრული რიცხვის დასახელება). თუ ის თავს ართმევს ამ დავალებებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ინტელექტუალური ასაკი შეესაბამება დაახლოებით ორ წელს. ე.ი. ქრონოლოგიური და ინტელექტუალური ასაკი ერთმანეთს, რაც იმ-



აზე მეტყველებს, რომ ბავშვს გააჩნია ინტელექტის ნორმალური დინესხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ინტელექტუალური კოეფიციენტი (IQ) უდრის 100. ამ IQ-ში არაფერი საიდუმლო არ არის. ეს გახლავთ ყველაზე მოხერხებული ხერხი ბავშვის ინტელექტუალური და ქრონოლოგიური ასაკის შედარებისათვის.

(ინტელექტუალური და ქრონოლოგიური ასაკის გაყოფის შედეგი გამრავლებული ასზე). თუ სამი წლის ბავშვი შეთავაზებულ ტესტს ასრულებს, როგორც სამი წლის ბავშვი, მისი ინტელექტუალური ასაკი – სამი წლისაა, ხოლო - IQ 75, მისი ინტელექტუალური ასაკი იმყოფება ნორმის დაბალ ზღვარზე. ასეთი ხერხი მრავალ მშობელს მიაჩნია ინტელექტის გაზომვის სრულიად მისაღებ მეთოდად საშუალო ბავშვისათვის, მაგრამ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის მშობელი ასეთ კითხვას დაგვისვამს: „როგორ გავზომავთ მისი ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონეს? მას ხომ ხელების მოძრაობაც კი არ შეუძლია, ცუდად ლაპარაკობს და არასდროს არ შეუსრულებია ასეთი ტესტი“. ზუსტად ამაში გამოიხატება ფსიქოლოგის პროფესიონალიზმი.

სპეციალისტის ამოცანაა, დაადგინოს ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობები, რომელიც გამოწვეულია მძიმე ფიზიკური დარღვევების ან ცუდი მეტყველების შედეგად. ფსიქოლოგი ყურადღებით აკვირდება, თუ როგორ ურთიერთობს ბავშვი მშობლებთან, როგორ თამაშობს და ყველაზე უფრო რით ინტერესდება. დაინტერესებულობის და ყურადღების კონცენტრაციის ხარისხი რაიმე დავალების შესრულების დროს – მისი განვითარების დონის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.



ჩვენ ვცდილობთ დავადგინოთ არა დავალების შესრულების წარმატებულობა, არამედ ბავშვის განზრახულობა. მისი მცდელობა, თუნდაც მოუხერხებელი, კომპის აგება კუბებისაგან მისი ზომების შემცირებით, იმის მაჩვენებელია, რომ ის

ერკვევა საგნების ზომებში და აანალიზებს მოქმედების აუცილებელ თანმიმდევრობითობას. მნიშვნელობა არ აქვს კომპი არასწორად არის აგებული და ინგრევა, მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი მიზანი მიღწეულია. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების მოძრაობითი უნარი სრულიად გვაძლევს საშუალებას, მოვახდინოთ დავალების აღქმისა და შესრულების განზრახულობის დემონსტრირება. იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ცუდად ფლობენ ხელებს, დამუშავებულია სპეციალური ტესტები, რომელთა შესრულება, პრაქტიკულად, არ მოითხოვს მოძრაობის კონტროლს და კარგად განვითარებულ მეტყველებას – ბავშვი შეკითხვებს პასუხობს თვალის სწორი პასუხით ან ხელების მოძრაობით. ხანდახან აუცილებელია, გამოიყენოს მხოლოდ „კი“ ან „არა“. მაგალითად, ტესტი შერჩევის სისწორეზე. ბავშვს აჩვენებენ სურათების სერიას და ფსიქოლოგი აძლევს შეკითხვას (მაგალითად – „მაჩვენე საწოლი“ ან „მაჩვენე ის, რაზეც სძინავთ“, ან მაჩვენე „ვის აქვს ოთხი ფეხი“) და აჩვენებს სურათების უცილებლობის შემთხვევაში, ატარებენ წინასწარ ვარჯიშს. საერთო ჯამში ინტელექტის ტესტები შედეგები უფრო უტყუარია საშუალო განვითარების ბავშვებისათვის, თუმცა გამოცდილი ფსიქოლოგი, რომელიც მუშაობს განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებთან და იცის სხვადასხვა ტესტების უპირატესობები და ნაკლოვანებები, ამ გამოკვლევის შედეგად, შეძლებს სწორი დასკვნების გამოტანასა და რეკომენდაციის მიცემას.

**რისთვისა არის საჭირო ფსიქოლოგის რეკომენდაცია**

გამოკვლევის მთავარი მიზანია ინტელექტის დონის დადგენა და განსაზღვრული რეკომენდაციების მიღება. რეკომენდაციები შეიცავენ დაახლოებით კითხვებზე პასუხის გაცემას, რასაც მიაღწია ბავშვმა სწავლის პროცესში და რეალურად, რა წარმატების მიღწევა შეუძლია უახლოეს წლებში. ჩვენ ზემოთ ხაზი გავუსვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშობლების მიერ გათვლილი იმედებისა და მოლოდინების რეალურობა. კითხვის სწავლების მცდელობა ან ორი წლის განვითარების დონის ბავშვის მიჩნევა ხუთი წლის ბავშვად – თქვენი და თქვენი ბავშვის წინასწარ მარცხზე განირვას ნიშნავს, რომელიც ყველასათვის სამწუხაროა. მეორე მხრივ, ძალიან პატარა წარმატებების იმედზე ყოფნით, ჩვენ ხელიდან ვუშვებთ სწავლის მიდრეკილების მქონე ბავშვის უნარების განვითარების შესაძლებლობას. მრავალრიცხოვანი გამოკვლევით დადასტურდა, რომ დაახლოებით ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების ნახევარს გააჩნია ინტელექტის საშუალო დონე ან აჭარბებს მას. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების მეოთხედი რამდენადმე ჩამორჩება ინტელექტუალურ განვითარებაში და კიდევ მეოთხედი – მნიშვნელოვნად ჩამორჩება (ე.ი. ინტელექტუალური ასაკი ორჯერ ნაკლებია ქრონოლოგიურ ასაკზე). ზუსტად ბოლო ფეგუფის ბავშვებს, რომლებიც ძალიან ნელა ვითარდებიან

და, როგორც წესი, განიცდიან მძიმე ფიზიკურ და მეტყველებით დარღვევებს, ესაჭიროებათ პროფესიული დახმარება.

**როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვს სწავლის ინტერესის გაღვიძებაში**

ზოგიერთ ადამიანს ეჭვი ეპარება მძიმე ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვის წარმატებულ განვითარებაზე, თვლის, რომ ენერჯისა და დროის დახარჯვა, ძალიან შეზღუდული შესაძლებლობის გამო, უაზრობაა. ხშირად ასეთივე გრძნობა მძიმე დღეების შემდეგ ეუფლებათ ჩვეულებრივი ბავშვების მშობლებსაც! ნებისმიერი ადამიანი, რომელიც აკვირდება ბავშვს გადაჭრით და მტკიცედ



ცდილობს, რაიმე გააკეთოს სხვებისთვის ხელმისაწვდომი, რომელსაც განცდილი აქვს გამარჯვებისაგან გამოხატული ბავშვის სიხარული, კარგად იცის, რომ; ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვს სხვაზე ნაკლებად არ გააჩნია გამარჯვების მოთხოვნილება. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის სულ მცირედი წარმატებული ნაბიჯები ჩაცმაში, კვებაში, გადაადგილებაში და ა.შ. უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვეულებრივი ბავშვებისათვის. მშობლების მიზანია ხელი შეუწყონ ბავშვში თვით-მომსახურების მოთხოვნილების ჩამოყალიბებას და არ მისცენ წარუმატებულობას მისი სწავლისაკენ სწრაფვის ჩაქრობის საშუალება. შთააგონონ, რომ მას პრაქტიკულად, ყველაფერი შეუძლია. **ბავშვისათვის სიახლის სწავლება – ნიშნავს მის მაგივრად არ გააკეთო ის, რის გაკითხვაც მას დამოუკიდებლად შეუძლია, მაგრამ მის წინაშე არ დასვა მისთვის ამოსახსნელად შეუძლებელი ამოცანა** ეს მნიშვნელოვანი თავისებურებაა. **ბავშვის სწავლის ინტერესის გაღვიძებაში ხელის შეწყობის ყველაზე ეფექტური საშუალება – საინტერესო საქმიანობაა.** ცერებრული დამბლის მქონე ზოგიერთი პატარა ბავშვი არ ამჟღავნებს სწავლისადმი განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას და სწრაფვას. მათ ინტერესს სტიმულირება ესაჭიროება. მას ესადაგება მსხვილი და მბზინავი სათამაშოები და სურათები. მიეცით ბავშვს რაიმე

ახალი ან ის, რის დაგინებაც მან უკვე მოასწრო, და თქვენ მუდმივად მისცემთ სტიმულს მის ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს. ყოველდღიურად ორჯერ ჩაუტარეთ მოკლე 10 - 15 წუთიანი, მაგრამ საკმაოდ ინტენსიური მეცადინეობა. მოკლე გაკვეთილებს, რომლებსაც ენაცვლება დასვენებები, უკეთესი შედეგები მოაქვთ, ვიდრე უწყვეტად ჩატარებულ ოთხ საათს. მოკლე გაკვეთილების დროს ბავშვი უკეთ კონცენტრირდება და მეტის მიღწევა შეუძლია. მშობლებმა და ბავშვებმა კონცენტრაცია უნდა მოიკრიბონ კონკრეტულ მიზანზე - წარმატება ასე უფრო შესამჩნევი იქნება, ხოლო მთლიანი ან თითქმის მთლიანი გამარჯვება მოგანიჭებთ კმაყოფილებასა და სიხარულს. დავალებები შეიძლება იყოს როგორც ადვილი, ასევე რთულიც. რომელი დავალება შეიძლება განვიხილოთ **პატარა-პატარა ნაბიჯებად?** აიღეთ უბრალო დავალება და დაყავით ის პატარა ნაბიჯებად. მაგალითად, სურათებიანი ლოტოს თამაში (ბავშმა უნდა აირჩიოს ის სურათი, რომელიც კარტზეა გამოსახული) თავიდან სურათი უნდა დაიდოს იმ სურათის გვერდით, რომელიც სრულიად არ ჰგავს საექსპერიმენტო სურათს. შემდეგ დავამატოთ ისეთებიც, რომელთა გამორჩევაც გაუძნელდება. ივარჯიშეთ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, მაქსიმალურად გამოიყ-



ენეთ ნახალისების ფორმა. ნახალისეთ ბავშვის ნებისმიერი მიღწევა, ეს იქნება მოქმედებისთვის სუსტი მცდელობა, თუ სრული გამარჯვება. რამდენადაც შესაძლებელია, ეცადეთ, არ შეამჩნიოთ ბავშვის წარუმატებლობა. არ აჩვენოთ თქვენი გაკვირვება, უკმაყოფილება ან გაღიზიანება. გახსოვდეთ ეს პრინციპები და თქვენ მოეხმარებით ბავშვს უმარტივესი ჩვევებისა და უნარების ათვისებაში, ბავშვი კი მიიღებს უსაზღვრო კმაყოფილებას, სწავლა კი სასიამოვნო იქნება.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში –  
“დამატებითი” დარღვევების  
მქონე ბავშვის სწავლება*

მანია ასაკაშვილი

# ოკუპაციური თერაპიის ძალი განვითარების დატყუების მძღნუ მავშუთა ტყამილიტყაციის პტტყსში



ოკუპაციური თერაპია ახლად დანერგული დარგია, რომელიც არ გულისხმობს მკურნალობას, იგი სამედიცინო პროცედურების პარალელურად მიმდინარეობს. სიტყვა „ოკუპაციას“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. თერაპიაში იგი ისეთ საქმიანობას ითვალისწინებს, რომელიც მიზანმიმართულია და ღირებული პროცენტებისთვის. ეს პროფესია გულისხმობს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას საქმიანობებში ჩართვის გზით.

რა როლი აქვს ოკუპაციურ თერაპევტსა და თერაპიას განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო მკურნალობაში? რამდენად მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა და დამხმარე საშუალებების გამოყენება ბავშვის განვითარების პროცესში? როგორია ამ მიმართულებით ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება? - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ოკუპაციური თერაპიის დოქტორი ამერიკიდან, ბოსტონის უნივერსიტეტიდან - ჯინი ბრეიდი და „მაკლეინის ასოციაციის“ ოკუპაციური თერაპევტი - ნინო ჭუმბურიძე.

ქალბატონო ჯინი, რას გვეტყოდით ოკუპაციური თერაპიის მნიშვნელობაზე, რა მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას ისახავს იგი მიზნად?

ოკუპაციური თერაპიის მიზანია, შევადლებინოთ ადამიანს, იყოს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სიტყვა „ოკუპაცია“, ან ოკუპაციური თერაპია არ გულისხმობს, მარტივი გაგებით, საქმეს ან საქმეში ტრენინგს, ეს უფრო მეტია, ის მიუთითებს ყველა აქტივობაზე, რომელიც ფარავს ადამიანების დროს და მათ ცხოვრებას მნიშვნელობას აძლევს. აქ იგულისხმება ყოველდღიური აქტივობები, რომელთაც ადამიანები ინდივიდუ-

ალურად ოჯახში, საზოგადოებაში ასრულებენ და რომელიც აძლევთ მათ ცხოვრებას მნიშვნელობას შესაძლებელია, გავაერთიანოთ სამ სფეროში:

- პროდუქტიულობა - მუშაობა, თამაში და სხვა;
  - დასვენება - სეირნობა, ტელევიზორის ყურება და სხვა;
  - თვით-მოვლა - ჩაცმა/გახდა, ჭამა და სხვა;
- ოკუპაციური თერაპევტი უზრუნველყოფს მომსახურების სფეროების ფართო სპექტრს. ის ეხმარება ადამიანებს, რომ გაიზარდოს მათი თანამონაწილეობა ყოველდღიური აქტივობების განხორციელების პროცესში.

ქალბატონო ჯინი, ძირითადად ვისთან მუშაობენ, სად მუშაობენ ოკუპაციური თერაპევტები და როდის არის თერაპევტის ჩართვა საჭირო?

ოკუპაციური თერაპევტი მუშაობს ყველა ასაკის ადამიანთან: ბავშვებთან, ჩვილებთან, მოზარდებთან, მოხუცებთან, საავადმყოფოებში, კლინიკებში, რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში, დღის ცენტრებში, ოჯახებში და ასევე ინდივიდუალურად, როდესაც ადამიანს აქვს ფიზიკური ან მენტალური ფუნქციონირების პრობლემები, რაც გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ასევე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ოჯახებთან. განსაკუთრებით, ბავშვებთან მუშაობის პროცესში.

ოკუპაციური თერაპია იწყება ჩვილობის ასაკიდან, მაგალითად, თუ მას აქვს კვების პრობლემები;

- როდესაც ბავშვის განვითარება ჩამორჩება განვითარების ნორმებს;
- როდესაც მშობლებს ექმნებათ სირთულეები ყოველდღიური აქტივობების განხორციელების პროცესში.
- საჭიროა ადაპტური საშუალების მორგება ან შექმნა.



ქალბატონო ჯინი, ოკუპაციური თერაპევტი ხელს უწყობს ადამიანის დამოუკიდებელ ფუნქციონირებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, რა ძირითად სტრატეგიულ მიმარ-



**თულებებს იყენებთ მუშაობის პროცესში?**

პირველ რიგში ვახდენთ შეფასებას. ჩვენი მიზანია, განისაზღვროს ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ იმის შესრულებაზე, რაც მათ უნდათ: ხდება ფიზიკური უნარების შეფასება;

- ამონებებს კოგნიტურ უნარებს დაკვირვებითა და კითხვარებით;
- ამონებებს ამოცანის შესრულების ხარისხს. იგულისხმება ამოცანის დანაწევრება პატარ-პატარა ნაბიჯებად და განსაზღვრა რა ფიზიკური და გონებრივი უნარია საჭირო, რომ შეასრულო აქტივობა;
- დაკვირვების პროცესში შესაძლებელია განსაზღვრა, სად არის პრობლემა;
- შემდეგ ხდება განსაზღვრა ფიზიკურია ეს პრობლემა, კოგნიტურია, თუ გარემოდან მომდინარე. ამის შემდეგ ხდება ოკუპაციური თერაპევტის ინტერვენცია;
- მნიშვნელოვანია უმკურნალო პიროვნებას და არა დიაგნოზს, რადგან ერთი და იგივე დიაგნოზის მქონე ორ პიროვნებას შესაძლებელია, ჰქონდეს სხვადასხვა პრობლემები;
- ინტერვენცია - მიზნად ისახავს გაზარდოს ადამიანის უნარიანობა, შეასრულოს აქტივობები და ეს მიღწეულია გაუმჯობესებით, ადაპტაციითა და მოდიფიცირებით;

შემდეგი ეტაპი არის უნარების გაუმჯობესება, როგორც არის კუნთების სიძლიერე, მოძრაობების ამპლიტუდა, გამძლეობა, მესხიერება, წონასწორობა, ბალანსი.

**კომპენსაცია** - დავალების ნაბიჯების შეცვლა, მაგალითად, ჩაცმისთვის საჭირო ნაბიჯების

შეცვლა, როდესაც საჭიროა ორი ხელის გამოყენება, აქტივობის დაგეგმვა ისე, რომ პიროვნებამ შეძლოს ერთი ხელით განხორციელება.

**ადაპტირება** - აქტივობის დროს საჭირო ობიექტების შეცვლა და მორგება უნარებზე მაგალითად, კოვზის მოხრა, გამსხვილება, კალმის მორგება და სხვა.

**მოდიფიკაცია** - გარემოს შეცვლა, როგორც არის პანდუსების დამატება, მოაჯირების ან სახელურების დამატება სააბაზანოში და სხვა.

**ქალბატონო ჯინი, ოკუპაციური თერაპევტის ჩარევა, რეკომენდაციები და ადაპტაციები ინდივიდუალურია. რა როლი აქვს ოკუპაციურ თერაპიას განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო მკურნალობაში? ვინ შეიძლება გახდეს ოკუპაციური თერაპევტი?**

ბავშვებთან მუშაობა ოკუპაციური თერაპიის ნაწილია, ჩვენ ვასწავლით მშობლებს, როგორ იმუშაონ ბავშვებთან, როგორ ჩაერთონ მათ განვითარებაში. ჯერ ვაფასებთ ბავშვს, ვარკვევთ, რაშია პრობლემა, შემდეგ ხდება ინტერვენცია, რომ განვავითაროთ ის უნარი, რაც დაზიანებულია, რაც ადრე დაინწყება რეაბილიტაცია, მეტ შედეგს მივაღწევთ.

**ქალბატონო ჯინი, ქრონიკული დაავადების გამო ბავშვი ხშირად არ არის ჩართული ასაკისათვის შესაფერის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაგალითად, ფეხსაცმლის თასმების შეკვრა, ჩაცმა, თამაში და სხვა. რა სტრატეგიებია გამოყენებული ნატიფი მოტორული უნარების, სივრცის სწორ აღქმასა და საკუთარი სხეულის ფლობის მიმართულებით?**

პირველ რიგში ვმუშაობთ ოჯახებთან, დაეუფლონ ჭამის, კვების ტექნიკებს. ვმუშაობთ ადაპტური საშუალებების მორგების საჭიროებებზე, ვასწავლით, როგორ დაეხმარონ ბავშვს ამა თუ იმ უნარის განვითარებაში. მაგალითად, ბავშვთა ცერებრული დამბლის შემთხვევაში, როცა მიმდინარეობს ჯდომის შეფასება, ოკუპაციური თერაპევტის მიზანი არის, შეარჩიოს სწორი პოზა, მოარგოს ადაპტური საშუალება. ნატიფი მოტორული უნარის გასავითარებლად საჭიროა კოვზის გამოყენება. თუ ბავშვს უჭირს კოვზის ჭერა, მას უნდა შემოვახვიოთ ჩვარი, გავამსხვილოთ, რომ ბავშვისთვის კომფორტული იყოს, მყარი საკვებიდან წინიბურაზე, პიურეზე, შემდეგ წვნიანზე გადავიდეთ და გავზარდოთ აქტივობა. ნატიფი მოტორული უნარის გასავითარებლად კარგი საშუალებაა მოზაიკით ვარჯიში და პლასტილინის გამოყენება.

**ქალბატონო ჯინი, არის შემთხვევები, როდესაც ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ თუ ემოციურ განვითარებაში ჩამორჩენა მეორადი ხასიათისაა, რადგან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებს აქტიურად ემსახურებიან მშობლები, ზედმეტი მზრუნველობის, ზოგჯერ დროის ან ენერჯის დაზოგვის მიზნით, რაც ბავშვის პასიურობას უწყობს ხელს, ამ ყველაფერს ბავშვის განვითარებისთვის უარყოფითი შედეგი მოაქვს. არის შემთხვევები,**

**როცა მშობლები მალაღმობიანობას უყენებენ ბავშვს, რისთვისაც მას არასაკმარისი რესურსი აქვს, ეს კი იწვევს იმედგაცრუებას, დაბალ თვითშეფასებას, რა რეკომენდაციას მისცემდით მშობლებს?**

ოკუპაციური თერაპევტი მშობელთან თანამშრომლობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენით ოკუპაციური თერაპევტი გეგმავს ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს და იწყებს მის განხორციელებას. ერთ-ერთი რთული სფეროა მშობლებთან მუშაობა, მშობლების მხრიდან ზედმეტი მზრუნველობა, ამით პრობლემები ექმნება ბავშვს და იმ უნარების განვითარებას, რომელიც მომავალში დასჭირდება. ჩვენ მშობლებთან ვმუშაობთ არა მარტო იმაზე, რა არ გამოდის ბავშვს, არამედ იმაზე, რა გამოდის კარგად, მშობლებს ვეხმარებით ძლიერი მხარის განვითარებაზე. ხშირად გამიგია მშობლებისგან „ჩემი შვილი დამოუკიდებლად ვერ იცხოვრებს“. ჩემი თხოვნაა, მისცენ ბავშვს დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია აჭამო ბავშვს, ეს დროის მოგებაა, მაგრამ, სჯობს დრო დავკარგოთ და დამოუკიდებლობა ვასწავლოთ. ერთ მაგალითს მოვიყვან, მე ვაფასებდი 12 წლის გოგონას. როცა მას შეკითხვებს ვუსვამდი, გოგონას მაგივრად დედა მპასუხობდა. მიეცით ბავშვს საშუალება, განივითაროს დამოუკიდებლობის უნარი, რომ სრული სიცოცხლით იცხოვროს.

**ქალბატონო ნინო, ძალიან საინტერესოა ქალბატონი ჯინის მიერ გაზიარებული საერთაშორისო გამოცდილება, რა მდგომარეობაა საქართველოში ოკუპაციური თერაპიის მიმართულებით?**

საქართველოში პირველი საგანმანათლებლო კურსი ოკუპაციურ თერაპიაში 2001 წლიდან დაიწყო. კურსის სახელწოდება იყო „ოკუპაციური თერაპიის დანერგვა საქართველოში“ რომელშიც ჩართული იყო 11 სტუდენტი. 2004 წლიდან შეიქმნა საქართველოს ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაცია.

2006-07 სასწავლო წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე გაიხსნა ოკუპაციური თერაპიის სპეციალობა, სადაც ყოველწლიურად მიმდინარეობს სტუდენტების ჩარიცხვა ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

ეს პროფესია საკმაოდ ახალია ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში ოკუპაციური თერაპევტების ძალიან მცირე რაოდენობაა, ამ ეტაპზე დაახლოებით 25-მდე ოკუპაციური თერაპევტია საქართველოში. სფერო, რომელშიც მუშაობს ოკუპაციური თერაპევტი ყალიბდება იმ დაწესებულების ან დამქირავებლის მოთხოვნათა შესაბამისად, სადაც ის მუშაობს. ძირითადად ჩვენთან ოკუპაციური თერაპევტების უმეტესი ნაწილი მუშაობენ ბავშვებთან.

ორგანიზაციაში „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ უკვე მეოთხე წელია ვმუშაობთ 2 ოკუპაციური თერაპევტი და სულ ახლახანს შე-

მოგვიერთდა ამერიკელი ოკუპაციური თერაპიის დოქტორი, ჯინი ბრეიდი, რომელიც 2 წლის განმავლობაში იქნება ჩვენთან ერთად. ჯინის მიერ ხდება ჩვენი გადამზადება, ასევე გვიტარდება ტრენინგები, ის გვიზიარებს გამოცდილებას სხვადასხვა პროფესიულ ტექნიკებზე, სპეციფიურ მიდგომებზე.

ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად ბავშვებთან მუშაობს: მიმდინარეობს ბავშვის შეფასება, ძლიერი მხარეებისა და რესურსების გამოყოფა, შემდეგ ამ ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით, ხდება მიზნის შემუშავება, ინტერვენციის გეგმის ჩამოყალიბება და რეკომენდაციების მიწოდება. ასევე, ხშირ შემთხვევაში, რეკომენდაციებთან ერთად მიმდინარეობს სპეციფიური აქტივობების მიწოდება, რომელიც მიმართულია სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ხდება მონიტორინგი და შედეგების გადაფასება.



**ქალბატონო ნინო, რა დამხმარე საშუალებები გამოიყენება მუშაობის პროცესში?**

მთავარი სირთულე, რომელიც გვხვდება საქართველოში, ეს არის ადაპტაციური საშუალებები. ხშირ შემთხვევაში, ეტლები არ შეესაბამება ზომებს და მასში ჯდომის დროს ბავშვს აქვს არასწორი პოზა, რასაც არასასურველ შედეგამდე მივყავართ. ხდება ხერხემლის გამრუდება, ჩნდება ნაწილები და ასე შემდეგ, ამიტომ აქცენტი ყოველთვის კეთდება სწორ პოზირებაზე არა მარტო ეტლში, არამედ სკამზე და სანოლშიც კი.

ხშირად გვინევს არსებული დამხმარე საშუალებების ადაპტირება ან ახლის დამზადება, ეტლების გადაკეთება, ეტლის მაგიდების დამზადება, კოვზის მორგება და სხვადასხვა მარტივი ადაპტაციური საშუალებები, რომლებიც, ხშირ შემთხვევა-

ში, ძალიან ამართლებს და ეხმარება ბავშვს, დამოუკიდებლად შეასრულოს ესა თუ ის საქმიანობა.

**ქალბატონო ნინო, როგორ მიმდინარეობს ოკუპაციური თერაპევტის მიერ ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა?**

საქართველოში ძალიან ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც მშობლები ზედმეტ მზრუნველობას იჩენენ ბავშვების მიმართ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მოხდეს ბავშვის ძლიერი მხარეების გამოყოფა და ბავშვთან მუშაობა ამ ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით, რათა მშობელმა დაინახოს, რომ ბავშვს შეუძლია ამ აქტივობის განხორციელება თავად. მნიშვნელოვანია მშობელმა განსაზღვრონ, რომ რაც უფრო ადრეულად მოხდება კონკრეტულ მიზანზე მუშაობა, მით უფრო შედეგად იქნება და მომავალში ბავშვი შეძლებს დამოუკიდებლად განახორციელოს ესა თუ ის აქტივობა.

**ქალბატონო ნინო, რა მეთოდებს იყენებთ ბავშვებთან მუშაობის პროცესში?**

მნიშვნელოვანია ბავშვის აქტივობისა და გარემოს ინტერაქციის შეფასების პროცესში მათი მნიშვნელობის შესახებ დატრენინგება;



განსაზღვრა იმის, თუ საიდან მოდის ეს შეზღუდვები, ბავშვის უნარებიდან გამომდინარე, თუ გარემოდან გამომდინარე.

- ხშირ შემთხვევაში, ხდება ადაპტაციური საშუალებების შექმნა ან ადაპტირება;
- ოჯახთან ინტენსიური მუშაობა და ტრენინგები;
- კვების ტექნიკების ან რეკომენდაციების მიწოდება;
- პოზირება;
- რეკომენდებული აქტივობების მიწოდება მშობლებისათვის, რომლებიც მიმართული არიან სხვადასხვა უნარების განვითარებაზე.

**ქალბატონო ნინო, რას ნიშნას სენსორული ინტეგრაცია და როგორ მუშაობთ ამ მიმართულებით?**

სენსორული დეფიციტის მქონე ბავშვებს აქვთ სხვადასხვა შეგრძნებითი არხიდან მიღებული ინფორმაციის გაერთიანების სირთულეები. მათ შეიძლება ჰქონდეთ პრობლემები ტაქტილურ, ვიზუალურ, აუდიალურ, ყნოსვით, ვესტიბულარულ და პროპრიოცეპტულ სისტემებში.

სენსორული დეფიციტის მქონე ბავშვთან მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ისეთი სახის აქტივობების გამოყენება, რომლებიც გულისხმობს ყველა მგრძნობელობის ჩართვას.

ოკუპაციური თერაპევტის ერთ-ერთი სამუშაო სტრატეგია არის გარემოდან მიღებული შეგრძნებების ინტეგრაციის ხელშეწყობა სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

იმისათვის, რომ დღის განმავლობაში ბავშვმა სხვადასხვა შეგრძნებითი გამოცდილება მიიღოს, ჩაუყარეთ საშუალო ზომის კონტეინერში ფქვილი, ქვიშა, წინიზურა, ბრინჯი, ლობიო, ჩაუსხით თბილი, გრილი წყალი, მანანის ბურღული ან სხვა პრდუქტი, ჩაუმაღეთ შიგნით სხვადასხვა სტრუქტურის პატარა სათამაშოები, ჩააყოფინეთ ხელი და უთხარით, იპოვოს სათამაშოები. ეს აქტივობა ხელს უწყობს სხვადასხვა შეგრძნებების მიღებას თამაშის პროცესში.

**ქალბატონო ნინო, რა რეკომენდაციას გაუწევდით მშობლებს?**

- ნებისმიერი აქტივობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია საქმიანობის დაყოფა პატარ-პატარა ნაბიჯებად, რათა უკეთ განსაზღვროთ, სად ექმნება ბავშვს სირთულე.
- ყოველი აქტივობა დაგეგმეთ ისე, რომ ბავშვმა აქტივობის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად გამოიყენოს მისი ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები.
- დღის განმავლობაში მაქსიმალურად ჩართეთ ნატიფი მოტორული უნარების განვითარებაზე მიმართულ აქტივობებში ანუ აქტივობებში, რომელიც ხორციელდება ხელებით, თითებით. მაგ: ათამაშეთ პლასტილინით, მოზაიკით, დაიხმარეთ ცომის პროცესში, დაახატინეთ ხელით, მიეცით სხვადასხვა სტრუქტურის ბურთებიდა სხვა... პროცესში ყურადღება გაამახვილეთ, რომ ჩართული იყოს ორივე ხელი. ასევე მსხვილი მოტორული უნარების განვითარებისათვის ჩართეთ აქტიურ ფიზიკურ თამაშებში.
- თუკი ბავშვს რომელიმე კონკრეტული მოქმედების განხორციელება უჭირს, გამოიყენეთ „ხელით ხელზე“, ტექნიკა, მოკიდეთ ბავშვის ხელს ხელი და ერთად განახორციელეთ აქტივობა ისე, რომ ხელით უბიძგოთ, თუ როგორ უნდა განახორციელოს ეს ქმედება. დროდადრო შეამცირეთ ხელით დახმარება და მიეცით მას მეტი დამოუკიდებლობა.

ოკუპაციური თერაპია, მართლაც, მნიშვნელოვანი დარგია, თერაპევტთან მუშაობის დროს მშობელი ან ბავშვი თავად ირჩევს იმ საქმიანობას, რომელიც მისთვის ყველაზე დიდ სიძნელეს უკავშირდება. პრობლემის ანალიზის შემდეგ მიმდინარეობს სამუშაო გეგმის შედგენა, რომელიც ბავშვის საჭიროებებზეა მორგებული, რაც ხელს უწყობს მისი უნარების განვითარებას და მის გარემოსთან მორგებას. ოკუპაციური თერაპია ახალი დარგია, რომელიც დიდ დახმარებას უწევს განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებს მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესში.



უხსოვლ მენიშვამ კამოსილოვამ

კონეზრივი ჩამორჩენილოზა

ტომ სმიტი, ედვარდ პოლოუი, ჯივის პიტონი, ქაროლ დოუდი



ტერმინი “გონებრივი შეზღუდულობა” ნიშნავს ფუნქციონირების საშუალოზე დაბალ დონეს. ეს მრავალმნიშველოვანი ტერმინი ასოცირდება მთელ რიგ ისეთ სტერეოტიპულ წარმოდგენებთან, როგორც არის, მაგალითად, დაუნის სინდრომით დაავადებული ახალგაზრდები, სიღარიბეში მცხოვრები, სტიმულაციას მოკლებული მცირეწლოვანი ბავშვები და საზოგადოებასთან შეგუების უნარდაქვეითებული ზრდასრული ადამიანები.

ვინაიდან, ეს ტერმინი ზოგადაა, იგი მოიცავს ინდივიდთა ჯგუფების მრავალსახეობას და გულისხმობს გონებრივი შეზღუდულობის სხვადასხვა ფორმას, ამავდროულად, იგი არ შეესაბამება არც ერთ გონებრივ დაავადებას.

ტერმინოლოგია

ამ კონცეფციისადმი კომპლექსური მიდგომისას, ტერმინი „გონებრივი ჩამორჩენილობა“ არ გამოიყენება. ინტელექტუალური ჩამორჩენილობა, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა ტერმინები მიჩნეულია მოცემული მიდგომარეობის ასახვის მისაღებ ტერმინებად.

მე-20 საუკუნეში გონებრივი ჩამორჩენილობის საკითხებისადმი მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა; მომსახურების განსხვავებული ფორმების შექმნამ სრულიად შეცვალა დამამცირებელი რეალობა გონებრივად ჩამორჩენილების მიმართ.

გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლამ და შეთავაზებული მომსახურებისა და დახმარების ფორმების მრავალფეროვნებამ აღნიშნულ სფეროში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. შესაბამისად, დადგა საუკეთესო დრო უნარშეზღუდულობის დაძლევის პერსპექტივებში ცვლილებების შესატანად.

მაშინ, როცა გონებრივი ჩამორჩენილობის განმატებითი ასპექტები, სამწუხაროდ, დეფიციტზე ფოკუსირდება, 21-ე საუკუნეში შესაძლებელი გახდა გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანების ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გამოყენებით მათი მიდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

გონებრივი ჩამორჩენილობა ფართო კონცეფციაა და მოიცავს ფუნქციონალური დონეების ფართო სპექტრს, მსუბუქი ჩამორჩენილობით დაწყებული, მწვავე ფორმებით დამთავრებული.

გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტება

პროფესიონალებისათვის რთული აღმოჩნდა გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტების ისეთი ფორმულირება, რომელიც მიესადაგება პაციენტთა შეფასებასა და კატეგორიებად დაყოფას, თუმცა განმარტებითი კონცეფციის მთელი რიგი ასპექტები წლების განმავლობაში გამოიყენებოდა.

გონებრივი ჩამორჩენილობა, უმეტესწილად, ხასიათდებოდა ორი განზომილებით - ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდულობითა და გარემოს სოციალურ მოთხოვნებთან შეგუების სირთულით. გრინ სპენმა (1996 წ.) გონებრივი ჩამორჩენილობა აღწერა, როგორც გონების „ყოველდღიური რუტინული“ პრობლემა; აქედან გამომდინარე, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანები განიხილებიან, როგორც ცხოვრებისა და საზოგადოების მოთხოვნებთან ადაპტაციის თვალსაზრისით პრობლემების მქონე პირები.

განმარტების მიხედვით, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ყველა პირი უნდა ავლენდეს გონებრივი შესაძლებლობების გარკვეული ხარისხით დაქვეითებას, რაც ინტელექტუალური შესაძლებლობების (IQ) საშუალოზე დაბალ დონეში აისახება. გარდა ამისა, ეს პიროვნებები უნდა ავლენდნენ ისეთი ადაპტაციური უნარების დაბალ დონეს, როგორც არის სოციალური, ქცევითი და ფუნქციურ-აკადემიური უნარები. ამ შემთხვევაში ეს გამოიხატება 6-დან 21 წლამდე ასაკში, როცა პიროვნება ხვდება სკოლის გარემოში და არ შესწევს უნარი შესარულოს აკადემიური მოთხოვნები, პრობლემა ჩნდება თანატოლებთან ურთიერთობისას.

1983 წლის განმარტება

გონებრივი ჩამორჩენილობის ამერიკული ასოციაცია ათწლეულობის განმავლობაში მუშაობდა გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტებაზე. გროსმანის (1983 წ.) მიხედვით, გონებრივი ჩამორჩენილობა ნიშნავს საშუალოზე გაცილებით დაბალ ინტელექტუალურ ფუნქციონირებას, რაც დაკავშირებულია განვითარების პერიოდში გამოხატული ადაპტაციური ქცევის დაქვეითებაში.

აღნიშნულ განმარტებაში გამოიყოფა სამი ცენტრალური ცნება: ინტელექტუალური ფუნქციონირება, ადაპტაციური ქცევა და განვითარების პერიოდი.

ინტელექტუალური ფუნქციონირება მოიცავს კოგნიტური (შემეცნებითი) შესაძლებლობების ფართო სპექტრს, მაგალითად, სწავლის, პრობლე-

მების გადაწყვეტის უნარს, სიტუაციაში ადაპტაციისა და აბსტრაქტული აზროვნების უნარს, თუმცა პრაქტიკაში იგი ფასდება ინტელექტის ტესტის შესრულების შედეგების მიხედვით. განმარტების მიხედვით, დიაგნოზის გამოტანისათვის ინტელექტის საზომი ტესტის ქულები არ არის საკმარისი, საჭიროა ადაპტაციის უნარის გაზომვაც.

ინდივიდის ადაპტაციური ქცევა წარმოადგენს იმ დონეს, რომელიც შეესაბამება სიმნიფის სტანდარტებს, სწავლის შესაძლებლობებს, პიროვნულ დამოუკიდებლობას ან სოციალურ პასუხისმგებლობას, შესატყვისს ამავე ინდივიდის ასაკისა და კულტურული ჯგუფისათვის, რომელსაც ის მიეკუთვნება (გროსმანი, 1983). აღნიშნულ კონცეფციასთან დაკავშირებით, გროსმანი ხაზს უსვამს შეგუების იდეას: „ადაპტაციური ქცევა ასახავს გარემოს მოთხოვნათა შესაბამისი ყოველდღიური საქმიანობის შესრულებას; ადაპტაციური ქცევა ასახავს უფრო თავის მოვლისა და სხვა ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობის უნარს, ვიდრე აბსტრაქტული აზროვნების პოტენციალს, რომელიც ასახავს გონიერების დონეს.“ ადაპტაციური ქცევის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიმეტრია მთელ რიგ სიტუაციებში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და სოციალური ურთიერთობის შენარჩუნების უნარი.

მესამე კომპონენტი – განვითარების პერიოდი, განისაზღვრება ჩასახვის მომენტიდან 18 წლის ასაკამდე პერიოდით. საშუალოზე დაბალი ინტელექტუალური ფუნქციონირება და შეზღუდული ადაპტაციური ქცევა, რომელიც განსაზღვრავს გონებრივ ჩამორჩენილობას, ამ პერიოდში ვლინდება.

**1992 წლის განმარტება**

1992 წელს გონებრივ ჩამორჩენილობას მიეკუთვნებენ ფუნქციონირების მნიშვნელოვან შეზღუდულობას. იგი გამოიხატება ინტელექტუალური ფუნქციონირების საშუალოზე გაცილებით დაბალ დონეში და, შესაბამისად, ორი ან მეტი გამოყენებითი ადაპტაციური უნარების შეზღუდვაში, როგორც არის კომუნიკაცია, საკუთარი თავის მოვლა, სოციალური უნარები, თემის გამოყენება,

თვითმართვადობა, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, აკადემიური ფუნქციონირება, თავისუფალი დროის გამოყენება, მუშაობა.

გონებრივი შეზღუდულობა იწყება 18 წლამდე ასაკში. 1992 წელს გამოყენებული განმარტება მეტწილად ეყრდნობა ფუნქციონალურ მიდგომას და ამით ფოკუსი ინაცვლებს უფრო ინდივიდის საზოგადოებაში ფუნქციონირების უნარზე, ვიდრე ფსიქომეტრულ და კლინიკურ ასპექტებზე, (მაგალითად, IQ ტესტის ქულა, შეზღუდული ადაპტაციური ქცევის შეფასება და სხვ.)

**2002 წლის განმარტება**

2002 წელს შემოთავაზებული განმარტება შეიცვალა, (ლაკასონი და სხვ.). ამ დეფინიციის თანახმად, გონებრივი ჩამორჩენილობა ხასიათდება ინტელექტუალური ფუნქციონირებისა და ადაპტაციური ქცევის მნიშვნელოვანი შეზღუდულობით და აისახება კონცეპტუალური, სოციალური და პრაქტიკული ადაპტაციის უნარებში. ამგვარი შეზღუდულობა ვლინდება 18 წლამდე ასაკში. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია შემდეგი 5 დაშვების გათვალისწინება:

1. ფუნქციონირების შეზღუდულობა უნდა განიხილებოდეს თემის, გარემოს, კონტექსტში ინდივიდის ტიპური ასაკისა და კულტურის გათვალისწინებით;
2. სრულყოფილი შეფასება უნდა ითვალისწინებდეს კულტურას, ენობრივ სხვაობას, კომუნიკაციის უნარს, სენსორული და მოტორული ქცევის ფაქტორების თავისებურებას;
3. ინდივიდში შეზღუდულობასთან ერთად არსებობს უნარები, რომლებიც კარგად არის განვითარებული ეს ინდივიდის ძლიერი მხარეა;
4. შეზღუდულობის აღწერის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს საჭირო დახმარების პროფილის შემუშავება;
5. ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვლილი ინდივიდუალური დახმარების შემთხვევაში გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირთა ფუნქციონირების დონე ზოგადად უმჯობესდება.

**მოწყობილობები ცირკულური დამბლის მქონე ბავშვებისათვის**



დღეისათვის არსებობს სარეაბილიტაციო საშუალებების დიდი არჩევანი, სადაც შეგიძლიათ შეარჩიოთ დამხმარე სარეაბილიტაციო საშუალებები ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებისათვის. წარმოებები უშვებენ ყველა ძირითად სარეაბილიტაციო საშუალებებს, აგრეთვე სპეციალურ ავეჯს და სათამაშოებს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევების მქონე ბავშვებისათვის. არაა საიდუმლო, რომ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს სპეციალური მოწყობილობების გარეშე ძალიან გაუჭირდებათ გარემო პირობებთან შეგუება და ადაპტაცია. ხშირად, ადაპტირებული ავეჯი მათ სჭირდებათ მაშინაც კი, როცა ბავშვს სურს უბრალოდ იდგეს ან იჯდეს.

რა თქმა უნდა, შესაბამისი დამხმარე საშუალებები შეირჩევა დაზიანების ტიპის და მოტორიკის, წონასწორობის და კოორდინაციის დაზიანების ხარისხის მიხედვით. პირობითად ყველა მოწყობილობებს ყოფენ ისე, რომლების დანიშნულება

მობილურობის, ფიზიკური განვითარების და მოქნილობის ამაღლებაა. ასე, მაგალითად, სპეციალური ავეჯი მოგვეხმარება ბავშვისათვის შევქმნათ ადაპტირებული, დაავადებისათვის შესაფერისი სივრცე, რომელიც საშუალებას მისცემს მას სრულფასოვნად ისწავლოს და განვითარდეს. აქ ორი ძირითადი ელემენტია - მაგიდა და სკამი. შეიძლება შექმნილი იქნას ავეჯის ფუნქციონირებული საგნები, რომელშიც ერთიც და მეორეც ერთმანეთთან შეთავსებულია.

ჩვენი სამუშაო

სიღნაღი



სიღნაღი ამჟამად საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, რომლის მომხიბვლელობას განაპირობებს, როგორც მისი დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ხუროთმოძღვრული სახე, ისევე ბუნებრივი მდებარეობა: ქალაქი განლაგებულია მაღალბორცვიან ადგილას და ალაზნის ველის გაშლილ სივრცესა და კავკასიონის ქედებს გადაჰყურებს.

სიღნაღი ქალაქად XVIII საუკუნის მიწურულს ერეკლე მეორის მიერ აგებული ციხის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, თუმცა არქეოლოგიური გამოკვლევებით დგინდება, რომ ეს არეალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჯერ კიდევ პალეოლითური, ნეოლითური და ბრინჯაოს ხანებიდან მოყოლებული.

სიღნაღის რაიონის ტერიტორია ადრე კამბეჩოვანის სახელით იყო ცნობილი, შემდეგ მას ქიზიყს უწოდებდნენ. კამბეჩოვანი (კამბისენე ძველ ბერძნულ წყაროებში) ძველი წელთ. II-I საუკუნეებში შედიოდა იბერიის სამეფოს შემადგენლობაში. ახალ წელთაღირობებაში მისი ცენტრი ქალაქი ხორნაბუჯი გახდა.

საქართველოს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ ეს მხარე დიდ მნიშვნელობას იძენს. აქ აღესრულა და დაკრძალულია წმინდა ნინო. მეფე ვახტანგ გორგასალმა ჰერეთი და მასში შემავალი კამბეჩოვანი საუფლისწულოდ აქცია და თავის ძეს, დარჩის, მისცა, ხოლო ხორნაბუჯში საეპისკოპოსო კათედრა დააარსა. ხორნაბუჯზე გადიოდა მაგისტრალური სავაჭრო-საქარავნო გზა.

VIII-IX საუკუნეებში, მიუხედავად არაბთა დამანგრეველი შემოსევებისა, ჰერეთი ძლიერდება და სამთავროდ ყალიბდება. XI საუკუნეში მეფე ბაგრატ III-მ კაპით-ჰერეთი გაერთიანებულ საქართველოს შეუერთა, რაც საბოლოოდ დავით აღმაშენებელმა განამტკიცა. XIII საუკუნეში ჯალალედინისა და მონღოლთა თარეში კამბეჩო-

ვანსაც შეეხო, რომელიც მონღოლთა ერთ-ერთ დუმენად (სამხედრო ოლქად) იქცა.

1264 წელს ბერქა ყაენის გამანადგურებელი შემოსევის დროს ხორნაბუჯის ციხეც დაეცა. ამის მერე ხორნაბუჯი, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი, კარგავს მნიშვნელობას. მოიშალა გზები, რომლებიც ამ ქალაქზე გადიოდა. არემარე პერიფერიაზე აღმოჩნდა. კამბეჩოვანის ცენტრმა ჩრდილო-დასავლეთისკენ ქიზიყში გადაინაცვლა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო სამეურნეო საქმიანობა და მოსახლეობა. ეს დაახლოებით XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მოხდა.

ქიზიყი მნიშვნელოვნად გაძლიერდა XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის დროს (1744-1798). სიღნაღის ქალაქად ჩამოყალიბება სწორედ ამ დროს ხდება. მეფე ერეკლეს ბრძანებით 1770 წელს შედგენილ ქალაქთა ნუსხაში სიღნაღიც არის მოხსენიებული. სიღნაღს გარს აკრავს დიდი გალავანი 28 კოშკით, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ ლეკებისაგან დასაცავად ააგო. მისი სიგრძე დაახლოებით 4 კილომეტრია. ქალაქი შემორჩენილია თითქმის იმავე სახით, როგორც ის 200 წლის წინათ იყო.

რუსეთთან მიერთების შემდეგ სიღნაღი მაზრად გადაკეთდა. 1938 წელს, საბჭოთა წყობილების დროს სიღნაღის რაიონი შეიქმნა.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სიღნაღი კვლავ სიღნაღის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია.

დღეს სიღნაღს ხშირად ქალაქ-მუზეუმსაც უწოდებენ. ქალაქიდან იშლება არაჩვეულებრივი ხედი ალაზნის ველსა და კავკასიონის მთებზე. 2007 წელს ქალაქს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, გაიხსნა მუზეუმი და სასტუმროები.



## ახალგაზრდა შემოქმედები

### თამაზ მჭავანაძე



თამაზ მჭავანაძე დაბადა 1991 წლის 15 აპრილს. სწავლობდა ქ. ბათუმის მეცხრე საჯარო სკოლაში. შემდეგ სწავლა სკოლა ლიცეუმ „თაობა XII“ გააგრძელა. 2007 წელს გამოსცა წიგნი „მარინა“, 2010 წელს გამოიცა ოთარ მამარდაშვილის წიგნი „ნამიერებიდან“—თამაზ მჭავანაძის მოსაზრებანი. 2012 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 20 ოქტომბრამდე მუშაობდა ფრაქცია ქრისტიანდემოკრატიების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მონვეულ სპეციალისტად შშმ პირთა საკითხებში. 2013წ. დაიბეჭდა ნოველათა მეორე კრებული „წარსულიდან მომავლისკენ“. 2010 წლიდან დღემდე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და

სოციალურ მეცნიერებათა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტია. 2010–2011 წლებში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმართველობის საქველმოქმედო დეპარტამენტის უფროსი, ხოლო 2013 წლის 30 სექტემბრიდან დღემდე ა (ა) იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისათვის“ თავჯდომარეა.

გთავაზობთ მის მოთხრობას „დავინწყებულ წარსული“.

#### ნაწილი პირველი

### დავინწყებულ წარსული

ზაფხულის ცხელი და მზიანი დღე იყო. დილის 10 საათი იქნებოდა, როცა ადვოკატ როსტომ მჭავიას კაბინეტში ერთი მდიდრულად ჩაცმული ქალიშვილი შევიდა, დაახლოებით ოცი-ოცდახუთი წლისა. ადვოკატმა თავაზიანად მიიღო იგი, ჯერ სკამისკენ მიუთითა დასაჯდომად და შემდეგ მასთან მისვლის მიზეზი ჰკითხა, მდივანს კი უშაქრო ყავის მომზადება სთხოვა.

—მე ანა მიქელაძე გახლავართ, დამწყები მომღერალი, ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც თქვენი კლიენტები არიან, მიჩიქეს, თქვენი იურიდიული ფირმით მესარგებლა.

—მეგობრებმა?—ჰკითხა ადვოკატმა.

— დიახ, მეგობრებმა, მე ავეჯის მაღაზიების ქსელის მეპატრონე ნიკოლოზ ფუტყარაძესა და მის ახლობლებზე გეუბნებით.

—ნიკას იცნობთ?—ღიმილით იკითხა როსტომმა.

—კი, როგორ არა, მე მისი ქალიშვილის, ანას დაბადების დღეზე ვმღეროდი, დამიქირავეს.

იურისტსა და კლიენტს შორის სასიამოვნო საუბარი გრძლდებოდა, როცა დიდ და ლამაზად მოწყობილ ოთახში თეთრი, სუსტი ცხრამეტი-ოცი წლის გოგონა შემოვიდა და ორთავეს ყავა მიართვა.

მომღერალმა ყავა მოსვა. შოკოლადის ფილის პატარა ნაწილი ჩამოტეხა და საუბარი გააგრძელა.

— ჩემი კარიერა ახლახან დავინწყე, ერთი თვეა, რაც პირველი ალბომი გამოვეშვი, მინდა გითხრა, რომ ეს ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ ჩემმა პროდიუსერმა „თავადიშვილმა“ მოგების დიდი ნაწილი მიითვისა, მე კი რალაც გროშები დამიტოვა.

როსტომი, ახალგაზრდობის მიუხედავად, გამოცდილი და პროფესიონალი იურისტი იყო. მას ხშირი, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მდიდარ, გავლენიან ადამიანებთან და დიდი ხნის განმავლობაში ზოგიერთი ოჯახის ადვოკატიც იყო. ფული და

პრესტიჟი არ აკლდა, მაგრამ როგორც წესი, ასეთ ადამიანს მტერიც ბევრი ჰყავდა, ამიტომ მას დაცვის თანხლებით უწევდა გადაადგილება, ყოველთვის იცავდნენ მის ოჯახსაც. იურისტმა მომღერალს დახმარება აღუთქვა და ორ-სამ დღეში დოკუმენტების გასაფორმებლად მისვლა სთხოვა.

—თქვენი ჰონორარი?— მოწინებით ჰკითხა ანამ როსტომს.

—ჰონორარი?— მაგის შესახებ არ ინერვიულოთ. ისე, ყველაფერი ხელშეკრულებაში იქნება მითითებული, გამოეპასუხა იურისტი მჭავიას.

ამის შემდეგ ანა წამოდგა და წასასვლელად მოემზადა, როსტომმა გაცილება მოინდომა და ეტლი გამოაგორა, თან დაამატა, ყველაფერი კარგად იქნება, არაფერზე ინერვიულო. ჩემს მდგომარეობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მერწმუნეთ, ეს სამართლიანობის აღდგენას ხელს არ შეუშლილსო“, — ანამ თვალი შეავლო ეტლში მჯდომ იურისტს, მკერდში უცნაური ტკივილი იგრძნო, მაგრამ არ დაიბნა და შეძლო პასუხის გაცემა. გეკადრებათ?— ეგ სულაც არ მიფიქრია. მე თქვენს შესახებ ყველაფერი წინასწარ ვიცოდი, ჩემთვის მთავარი პროფესიონალიზმია, მდგომარეობა, რომელშიც თქვენ ხართ არ არის მნიშვნელოვანი, ხმაში კი დაეტყო, რომ აშკარად ებრალებოდა ადვოკატი, მან როსტომს თავისი სიმღერების დისკი გადასცა ავტოგრაფით, დაემშვიდობა და წავიდა.

კაბინეტში მარტოდ დარჩენილი როსტომი ფიქრს მიეცა.

—ნუთუ ის არის?— თვალეები, ტუჩები, მისი მიხრა—მოხრა, ხმაც თითქოს იგივეა, ფერი, შეცვლილი ნაკვეთები?.. ნუთუ მაკიაჟმა შეცვალა? დრო კი... დრო არც ისე ბევრი იყო გასული. ან რატომ უნდა ამოფარვოდა ნიღაბს? რაშია საქმე, რაში?

ძვირფასო მკითხველო, იმედია, თავს არ მოგაბეზრებთ თუ ადვოკატს დავტოვებთ და მის პირად ცხოვრებაზეც მოგიყვებით.

როსტომი ამ ქალაქში ერთ-ერთი ავტორიტეტული და მდიდარი ოჯახიდან იყო, მდიდარი მამის ერდადერთი შვილი, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მაგრამ ამას მისი ადგილის დამკვიდრებაში ხელი არ შეუშლია. არც მამა, ცნობილი ბიზნესმენი, დახმარებია, ყველაფერი რაც მას ჰქონდა თავისი ნიჭითა და დაუღალავი შრომით მოიპოვა. გულისტკივილი მაინც არ შორდებოდა, შეზღუდული შესაძლებლობები ბევრ დაბრკოლებას უქმნიდა, განსაკუთრებით, სიყვარულში.

ის ლამაზი, ცისფერთვალება, თეთრი სახისა და სასიამოვნო გარეგნობის გოგონა იყო. ერთი სიტყვით, ციდან ჩამოფრენილი, ხორცშესხმული ანგელოზიაო, იტყოდა კაცი. ამ გოგონამ ბევრი ყმანვილის გულში დაიდო ბინა. როსტომი შეუყვარდა. ხომ ყველამ ვიცით, რომ სიყვარულმა არც ფიზიკური მდგომარეობა და არც ასაკი იცის.

როსტომი დიდ დროს ატარებდა თავისი ბიძის აგარაკზე, სადაც გაიცნო და ერთი დანახვით შეუყვარდა ეს არაბუნებრივი სილამაზის გოგო, ბიძის ოჯახის მეგობრის შვილი. ანგელოზს ანა ერქვა.

როსტომი დიდხანს მალავდა ამ გრძნობას, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოერია და ერთ-ერთ წვეულებაზე გადანყვიტა, გაემხილი მისი ხვაშიადაი.

რალაც სათქმელი მაქვსო და გაინვია ბაღში, სადაც კაფე-ბარადან პირდაპირ კარით შეიძლება მოხვედრა.

—ძვირფასო, მე დიდი ხანია მიყვარხარ, მაგრამ ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო იძულებული ვიყავი დამემალა ეს გრძნობა. გაოგნებულმა მარიმ ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ კი მიუგო:

—მე რაც შემიძლია, ის არის, რომ მეგობრობა შემოგთავაზო. ჩემთვის ფიზიკური მდგომარეობას აზრი არა აქვს და ძალიან გთხოვ, მაგისტრის თავს ნუ იტანჯავო.

ამ სიტყვების მერე ანამ ცრემლი ვალარ შეიკავა და გაიქცა.

დრო მიდიოდა. ისინი ერთმანეთს ბევრჯერ შეხვდნენ, ბიჭს მეგობრობაზე მეტი უნდოდა და ანას (არის) არ ეშვებოდა. მან ის შედეგი გამოიღო, რომ გოგონასაც შეუყვარდა, რასაც მისი ოჯახის წინააღმდეგობა მოჰყვა. ბოლოს და ბოლოს ისე მოხდა, როგორც მშობლებს სურდათ, ისინი დაშორდნენ..

ანას ბედი უცნობია. როსტომი დაოჯახდა და წარმატებული იურისტი გახდა..

ალბათ, მკითხველო ამ ისტორიის შემდეგ უცნაურად აღარ მოგეჩვენებათ, თუ გეტყვით, რომ როსტომის ჰოლდინგს „დავინწყებული წარსული“ ერქვა.

**ნაწილი მეორე**  
**წარსულიდან მომავლისკენ**

წლები ერთმანეთს ცვლიდა, დავინწყებული წარსული აღარავის ახსოვდა და უკვე შუახნის როსტომს აღარც ჰქონდა წარსულის გახსენების მიზეზი, ანმყოც ბედნიერი ჰქონდა და მომავალსაც

შვილებისა და პატარა შვილიშვილის, ირინას, სახით ბედნიერს ტოვებდა.

—ბაბუ, მალე გავთხოვდები, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი საქმრო არ მოგწონს.

—შვილო, მე ახალგაზრდა აღარ ვარ, თუმცა მეც ვიცი რას ნიშნავს პირველი სიყვარული, შენ 18 წლის ხარ, ძალიან პატარა გათხოვებისთვის და თან ჩემი იმპერიის ერთადერთი მემკვიდრე..

—ვინ გიყვარდა? ბებია თეონაზე ამბობ?

—არა, იყო ერთი გოგო მას ანა ერქვა, დიას როსტომი სწორედ იმ ანაზე საუბრობდა, რომელიც მან, თუ ისტორიამ დავინწყებულ წარსულად აქცია. ჩვენ დავშორდით. იმიტომ კი არა, რომ შენი საქმროსავით კრიმინალი ვიყავი ან ანას მაგიერ მისი ქონების ქმრობა მინდოდა, თუმცა მდიდრები არ ვყოფილვართ არც ერთი, ჩვენ, ჩემმა ჯანმთელობამ დაგვაშორა . . . მეც შენსავით მეგონა, რომ ყველაფერი დასრულდა, მაგრამ, თურმე იწყებოდა და მე ვერ ვხვდებოდი. მე ერთ კომპანიში ვმუშაობდი, გახსოვს ალბათ დედაშენის ნათლია, ჩემი მეგობარი, ქალბატონი მარი ბარამია, მან წამიყვანა კომპანიაში, ამ პრობლემების დასაგინებლად. ერთ დღეს ფირმამ სტაჟირება გამოაცხადა. გასაუბრება მე უნდა ჩამეტარებინა, სტაჟიორი ჩემი თანაშემწე უნდა ყოფილიყო. „კასტინგზე“ არავინ მოგვეწონა. ეს იყო მე და მარის უნდა დაგვესრულებინა შეხვედრა, რომ ერთი გოგო შემოვიდა. დავიანების გამო შეშინებული, თუმცა აქტიური, მხიარული. თავიდან ყველაფერი გამოვკითხეთ და გამოსაცდელი ვადით მარიმ აიყვანა, მე არ მომეწონა. თუმცა გარეგნულად ძალიან ლამაზი იყო, შავგრემანი პატარა ტანის გოგონა. რამდენიმე თვეში შევეჩვიე, და დავმეგობრდით და სრულიად მოულოდნელად ერთმანეთი შეგვიყვარდა. მიუხედავად ჩემი ჯანმრთელობისა, მერე დედაშენი გაგვიჩნდა. მე ბიზნესიდან პოლიტიკაში წავედი, მანამდე კომპანია „დავინწყებული წარსული“ გავყიდე და ინვესტიცია ფარმაცევტულ კომპანია „ჯანმრთელ მომავალში“, ჩავდე. დღეს ჩემი დავინწყებული წარსულის ახალი სიცოცხლე თქვენ ხართ. იცი, შენი ბებია კარგი ქალი იყო. მას ვუყვარდი და სწორედ მან შეძლო ჩემთვის ყველაზე მთავარი ქონების, თქვენი მოცემა..

—კი მაგრამ, ბაბუ . . . . .

—არავითარი მაგრამ . . . აი ნახე.

—დაუჯერებელია! ეს შენ და მამამ მოიფიქრეთ.

—არა, ეს დოკუმენტები ჩვენმა დაცვამ აღმოაჩინა, ის ჩემი კონკურენტის ვაჟია. ამის შესახებ შენ არაფერი არ იცოდი. ჩვენ ჰოლდინგს არ გავყიდით და იმათ შენი გამოყენება სცადეს.

მეორე დღეს ბიზნესმენ ირაკლი მარგოშვილის შვილი, 22 წლის გიორგი მარგოშვილი ავტოკატასტროფაში მოჰყვა. ის მკურნალობის მოტივით საზღვარგარეთ წაიყვანეს.. ირინამ კი ავსტრალიაში სწავლისას წარმოშობით ქართველი ბიზნესმენი რამაზ ავალიანი გაიცნო და გათხოვდა . . . ავტოკატასტროფის მიზეზი გაურკვეველი დარჩა, თუმცა ეს იყო დიდი შურისძიების ნაწილი..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ჩინჯე ნოქანდის და ქანდის ქაქაღის ჟიჯიტი სოქსიტისა და ახალგაზრდოღის საქმეთა სამინისტროში



28 თებერვალს სსიბ ბავშვთა და ახალგაზრდოღის განვითარების ფონდის ორგანიზებით, სპორტისა და ახალგაზრდოღის საქმეთა სამინისტროს ენვიგენენ ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი რიჩარდ ნორლანდი, აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშე ჯეიმს დიუ და ცხრაგზის პარა-



ლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქენდლის ქემბლი. შეხვედრას ამერიკის საელჩოს გაცვლითი პროგრამების მონაწილეები, ახალგაზრდა სპორტსმენები, პარასპორტსმენები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა

რიჩარდ ნორლანდმა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდოღის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა.

ქენდლის ქემბლი აშშ-ს საელჩოს მოწვევით ერთ კვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. მას ზაფხულის საერთაშორისო პარალიმპიურ თამაშებში ცხრა ოქროს, ხოლო ზამთრის საერთაშორისო პარალიმპიურ თამაშებში სამი მედალი აქვს მოპოვებული. ის ცნობილი სპორტსმენი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აქტიური დამცველია.

სპორტისა და ახალგაზრდოღის საქმეთა სამინისტროში ვიზიტის დროს ქალბატონმა ქენდლის ქემბლიმ ახალგაზრდებისათვის სემინარი ჩაატარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკაციების თემასა და მათი სპორტში ჩართულობის მნიშვნელობაზე.

საქართველოში ვიზიტისას ქ-ნი ქემბლი შეხვდა ქართველ პარალიმპიელებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეხმარებიან და მათ პრობლემებზე მუშაობენ, უნივერსიტეტების სტუდენტებსა და გორში, ეროვნული თავდაცვის აკადემიის კადეტებს.

საქართველოს შემდეგ ქალბატონი ქემბლი სომხეთში მიემგზავრება, შემდეგ კი სოჭში, სადაც 2014 წლის ზამთრის საერთაშორისო პარალიმპიურ თამაშებში რეპორტიორად იმუშავებს.



პირველი სახელისიფო რადიო  
ტელ.: 2 42 10 03

ყსპინეთ ყოყლ სყთძაბათს 17:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მღე  
ძაია ასაყაძილის სააყციოო ვადაცყმას  
„ალაძიანები ვანსჯაყუბყლი ძქსაძლუბლობჭებით“

გიორგი ჯანელიძე

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე



დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე გაეროს ეგიდით, პირველად 2012 წლის 21 მარტს აღინიშნა. სინდრომის დასახელება ბრიტანელ მეცნიერ ჯონ ლანგდონ ჰეიდონ დაუნს უკავშირდება, რომელმაც მისი დამახასიათებელი ნიშნები პირველად 1866 წელს აღწერა. 1958 წელს, ფრანგმა პედიატრმა ჟერომ ჟან ლუი მარი ლეჟენმა დაუნის სინდრომს ქრომოსომული ანომალია უწოდა. კვლევის თანახმად, ეს არა დაავადება, არამედ გენეტიკური ცვლილებაა-„ტრისომია 21“ 21-ე ქრომოსომის გასამეზას გულისხმობს (უჯრედში 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომია), იგი არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. ამ სინდრომით ყოველი 800-დან ერთი




ბავშვი იბადება, ამ ტერმინის დამაკნინებელ კონტექსტში გამოყენება განვითარებულ ქვეყნებში კანონით ისჯება. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს ისევე სწყინთ, უხარიათ, სტკივათ და უყვართ, როგორც შენ! - ვკითხულობთ 21 მარტის აქციაზე დარიგებული ფლაერიდან. „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“ - ასე ერქვა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოებულ კამპანიას, რომელიც თავისი არსით დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების დღეს მიეძღვნა. 2014 წელს

დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით დამკვიდრდა „უთვალავი წინდის“, ტრადიცია, რომლის მიზანიც მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვაა. ფერადი წინდის შექმნით ადამიანები იქცევენ გარშემომყოფთა ყურადღებას, ხდებიან ინფორმაციის გამავრცელებლები და იღებენ სოციალურ პასუხისმგებლობას - წვლილი შეაქვთ დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფონდში, რომელიც თემის უფლებების დაცვასა და სტიგმის დაძლევაზე მუშაობს. **გია ჯვარშიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ვიმეგობროთ!“:** ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სამედიცინო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, იგივე მდგომარეობაა განათლების სფეროშიც, არანაკლებ სირთულეებთანაა დაკავშირებული ამ ადამიანების დასაქმება. ჩვენი წლევანდელი სლოგანია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. დამზადდა ვიდეორგოლი, რომელიც არის ერთი მთლიანი კლიპის ნაწილი. ეს უკანასკნელი კი, 70 ქვეყანას აერთიანებს. აქციის ფარგლებში გაიმართა მსვლელობა ილიაუნის მიმართულებით. **ეკა ტოგონიძე, პუბლიცისტი:** წელს პირველად შევეურთდი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს და ძალიან მიხარია, რომ ამ ადამიანებთან ერთად ვმონაწილეობ მსვლელობაში. მიხარია, რომ შემხვედრი მოქალაქეები ინტერესდებიან ჩვენი ფლაერებით და იმედი მაქვს, რომ ადამიანებს ოდნავ მეტი ინფორმაცია ექნებათ დაუნის სინდრომის შესახებ. საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული აქცია ჩატარდა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო დეფილე, რომელშიც პროფესიონალებთან ერთად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებიც მონაწილეობდნენ. შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან გამართულ მიტინგზე კი, კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის დაბადებიდანვე შშმ სტატუსის მინიჭება მოითხოვა.



ერთი ცნობილი ადამიანის ცხოვრების ისტორია



- 7 წლის ასაკში მისი ოჯახი ვალეების გამო სახლიდან გააგდეს. საკუთარი თავისა და ახლობლების სარჩენად მას მოუწია მუშაობა.
  - 9 წლის ასაკში მას დედა მოუკვდა.
  - 22 წლის ასაკში მან დაკარგა სამსახური მაღაზიაში, სადაც კურიერად მუშაობდა. მას სურდა იურისტობა, მაგრამ განათლება არ ჰყოფნიდა.
  - 23 წლის ასაკში მან დიდი ვალეები აიღო, რათა ერთ-ერთი მაღაზიის ბიზნეს-პარტნიორი გამხდარიყო.
  - 26 წლის ასაკში მისი პარტნიორი მოკვდა და მას დიდი ვალეები დაუტოვა, რომელსაც ის მრავალი წლის მანძილზე იხდიდა.
  - 28 წლის ასაკში მან თავის მეგობარ გოგონას, ხელი სთხოვა რომელსაც 4 წელი ხვდებოდა, მაგრამ გოგონამ უარი უთხრა.
  - 37 წლის ასაკში მხოლოდ მესამე მცდელობის შემდეგ ის არჩეულ იქნა კონგრესში, მაგრამ ორი წლის შემდეგ ის ხელმეორედ არ აირჩიეს.
  - როდესაც ის იყო 41 წლის მას 4 წლის ვაჟიშვილი მოუკვდა.
  - 45 წლის ასაკში მან სცადა სენატში მოხვედრილიყო, მაგრამ კვლავ დამარცხდა. ხოლო 51 წლის ასაკში ის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს.
- ეს ადამიანი არის აბრაამ ლინკოლნი - ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მე-16 პრეზიდენტი - 1861 წლის მარტიდან 1865 წლის აპრილამდე.

ოლეგ ლუსენკო

აფხაზეთი ჩახსოვნილი ადამიანების მხრიდან



რუსეთის მიერ კონტროლირებული აფხაზეთი სწრაფ დეგრადაციას განიცდის. ძირძველი ეთნოსი კვდება არნახული ტემპით. აფხაზთა გადაშენების მტერი ავადმყოფობა და სიღარიბე გახდა.

ამის შესახებ იტყობინება აფხაზეთის წყარო (<http://vk.com/wall-39750543-18315>). თანამედროვე აფხაზეთისათვის ყველაზე პრიორიტეტულს დემოგრაფიული პრობლემა წარმოადგენს, რომელიც დღემდე ვერ გადაწყვეტილა – წერს ABH NEWS.

ამ ფონზე სხვა ქვეყნებიდან მიგრაცია იზრდება (ძირითადად რუსეთიდან და შუა აზიიდან), რაც, საბოლოო ჯამში, ადგილობრივი მოსახლეობის მიგრანტებში ათქვეფას იწვევს. ამასთან ერთად აფხაზეთში კატასტროფული სიტუაციაა:

- ყოველ 1 ჯანმრთელ ახლადდაბადებულზე 4 - 5 ავადმყოფი (ან საჭიროებს დეტალური მეთვალყურეობას) მოდის.
- ყველა ახლდაბადებული, დაახლოებით 70-75% დაბადებიდან სხვადასხვა ფორმით ინფიცირებულია.
- ახალდაბადებულთა დაახლოებით 50% – ს გააჩნია ამა თუ იმ ფორმის ნერვული სისტემის დაავადება. ბავშვების დაახლოებით 15% დროზე ადრე იბადება. მათ შორის 1500 გ. წონის მქონე ბავშვების ნახევარი ნორმალურად ვითარდება. 1500 გ. წონაზე ნაკლები ბავშვების უმრავლესობა კვდება..

ასეთი დაავადებები განვითარებაში ჩამორჩენილობას და ადრეულ მშობიარობას იწვევს, ცერებრულ დამბლასა და ეპილეფსიას, გონებრივ და ფიზიკურ არასრულყოფილებას და უდროო სიკვდილიანობას.

უკიდურესად ნეგატიური სიტუაცია გამოიწვია ВИЧ-ინფექციისა და B და C ჰეპატიტების გავრცელებამ. ეს მოვლენა, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი დაავადებები, მხოლოდ აუარესებს საერთო მდგომარეობას.

აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის განმარტება, რომ მოვლენების ასეთი განვითარება სანამდე მიიყვანს აფხაზეთს.

ასეთი მდგომარეობის წარმოშობის წყაროს წარმოადგენს აფხაზეთში მცხოვრები უმრავლესი ადამიანის ღრმა ზნეობრივი დაცემა, მოსახლეობას შორის სხვადასხვა ფენების წარმოშობა, მოსახლეობის შემოსავლის მიხედვით, სხვადასხვა ფენად განაწილება, უამრავი ადამიანის გაღარიბება, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა, იზრუნონ საკუთარი ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე. კორუფციის ფონზე ჯანდაცვის განვითარების პოგრამის უქონლობა და სხვა მრავალი ფაქტორი, წერს რუსულან სინბარიგოვი (Руслан Синбаригов . [http://www.kcblog.info/2014/01/blog-post\\_2502.html](http://www.kcblog.info/2014/01/blog-post_2502.html)) ის საზოგადოება, რომელიც თავს უფლებას აძლევს ასე მოეპყროს საკუთარ ბავშვებს, არაფრის ღირსი არ არის, გადაშენების გარდა. და საერთოდ, ასეთ ბედს გაიზიარებს ყველა ერი და ეროვნებები, რომლებიც მოსკოვის ქუდის ქვეშ არიან.

<http://www.kcblog.info/2014/01/blog-post-2502.html>



## ავსტრიაში ტომტვმა თავი მთელა



ავსტრიის დაბა ხინტერშტოდერში უნიკალური ინციდენტი მოხდა. დამლაგებლის ფუნქციის მქონე რობოტმა თავი მოიკლა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, სანამ მეპატრონეები სახლში არ იმყოფებოდნენ, რობოტმა თავი ელექტროლუმებზე დაინვა.

სუიციდამდე რობოტის მფლობელმა, 44 წლის ჰელმუტ კნივასსერმა საკუთარ ელექტრონულ დამხმარეს მაგიდიდან დაფანტული ბურღულეულის ალაგების დავალება მისცა. როცა კიბერდამლაგებელმა დავალება შეასრულა, პატრონმა რობოტი გამორთო და ოჯახთან ერთად სასაერნოდ წავიდა.

მისი ვერსიით, სახლში არყოფნის პერიოდში მოწყობილობა თავისით ჩაირთო, ელექტრონულ ღუმელზე აძვრა, ქვაბი გასწია, ღუმელის ჩამრთველი გადასწია და თავი დაინვა, პარალელურად კი სახლში ხანძარი გააჩინა.

დაზარალებულისგან განსხვავებული ვერსია აქვთ ადგილობრივ მეხანძრეებს. მათი ვარაუდით, სახლის მეპატრონეს ღუმელის გათიშვა თავად დაავინწყდა.

ავსტრიელი ჟურნალისტები ხუმრობენ, რომ „კიბერდამლაგებელმა მონოტონურ და დამღლელ სამუშაოს ვერ გაუძლო...“ როგორც ჩანს, მისი ინტელექტი ხელოვნური არ ყავილა, – წერენ ადგილობრივ მედიაში.

თავის მხრივ, კნივასსერი აპირებს, უჩივლოს კომპანიას, რომელმაც მას სუიციდისკენ მიდრეკილი „მეგობარი“ მიჰყიდა.

## სურვილის მიხუზი



შეკითხვაზე „რატომ სურს ყველას სექსი პლაჟზე“, ამერიკელმა მეცნიერმა სექსოლოგიაში დეივ იანკერმა ასე უპასუხა – ამ საკითხზე გამოკვლევა ჩავატარე და გამოიკვია, რომ ამაში დამნაშავეა ქვიშის ზემოქმედება, რომელიც აღიზიანებს ადამიანის სხეულის სამ ყველაზე სექსუალურ ზონას. ესენია: ფეხის დიდი თითის ქვედა ნაწილი, ტერფის თალი და ქუსლის ზედა მხრისა და ცერა თითს შორის ზედაპირი.

ფეხშიშველი ქვიშაზე სიარული, აძლიერებს, როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სექსუალობას. აი, ეს არის ყველა საიდუმლოება.

მიუხედავად იმისა, რომ წესრიგის დამცველები ყოველთვის არ ეკიდებიან გაგებით ამ საკითხს – შეუძლიათ ამ პროცესში ჩაერიონ და ორივე პარტნიორი, პირდაპირ ასე, უტანსაცმლოდ მიაბრძანონ „ვირის აბანოში“.

თუ მაინც და მაინც პლაჟზე მოგინდათ სექსი, უნდა იცოდეთ, რომ ესპანეთში სამი წლის წინათ ოფიციალ-

ურად დააკანონეს სექსი პლაჟზე. საბერძნეთში ისჯება 2-დან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო არაბეთის ემირატებსა და საუდის არაბეთში ამის შედეგი შეიძლება უფრო მძიმე იყოს – ადამიანი შეიძლება სასამართლოში მოხვდეს, შეიძლება დააჯარიმონ ან ქვებით ჩაქოლონ... ასე რომ, სანამ სადმე ნახვალთ ან რაიმეს გააკეთებთ – უნდა გაეცნოთ ადგილობრივ კანონებს!



იკითხეთ ყუბნალი „იპელი +“

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ღაუაფაჟული სამხედრო მოსამსახურეების პარალიმპიადეზე



ქართველმა სამხედრო პარალიმპიელებმა აშშ-ში ოქროს მედალი მოიპოვეს. საბრძოლო მოქმედებების დროს დაშავებული შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე სამხედროების მონაწილეობით, კალიფორნიის შტატის საზღვაო ქვეითთა ბაზა - პენდელტონზე ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრერში დაშავებულმა ქართველმა სამხედროებმა, სადაც პნევმატური იარაღიდან სროლაში 244 მონაწილე გამოდიოდა, წარმატებით იასპარეზეს. ოქროს მედლის მფლობელი მსუბუქი კატეგორიის დაშავებულებს შორის სერჟანტი ბახვა დარ-

სალია გახდა, I კლასის რიგითმა გიორგი კოჭუაშვილმა კი, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საშუალო კატეგორიის დაშავებულთაგან, უმცროსმა სერჟანტმა - იაკობ ზოსიაშვილმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

სან-დიეგოში მიმდინარე დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების პარალიმპიადის ფარგლებში, ქართველმა სამხედროებმა მშვილდისრით სროლის, 10 კილომეტრიან მანძილზე ხელით ველორბოლასა და 30 კილომეტრიან დისტანციაზე ველოსპორტის შეჯიბრებებშიც მიიღეს მონაწილეობა.

საერთაშორისო შეჯიბრებების ფარგლებში, ქართველი სამხედროები სირბილისა და ცურვის ტურნირებშიც იასპარეზეს

ჩემპიონატში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და ISAF-ის საერთაშორისო მისიაში დაჭრილი 13 ქართველი სამხედრომ იასპარეზა. პარალიმპიადეში, საბრძოლო მოქმედებების დროს დაშავებული, 10 ქვეყნის შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე 350 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.

დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების პარალიმპიადის ფინალი პენდელტონის ბაზაზე 13 მარტს გაიმართა. გამარჯვებული ნაკრები სპორტის ყველა სახეობაში ინდივიდუალური შეჯიბრის დროს მიღებული ქულების დაჯამებით გამოვლინდა.

ოლიმპიური თამაზების თილისმის ისტორია

თავიდან ოლიმპიური თამაშების სიმბოლო იყო მხოლოდ ხუთი ერთმანეთსჩან-ნული, სხვადასხვა ფერის რგოლიანი ემბლემა და ოლიმპიური ცეხცხლი. „ოლიმპიური თილისმის„ არსი ოფიციალურად დაამტკიცეს 1972 წლის ზაფხულში, მიუნხენის (გერმანია) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 73-ე სესიაზე. მიღებული წესების მიხედვით, თამაშების თილისმის არსი იყო, წინ წამოენია ოლიმპიზმის პრინციპები და ხელი შეეწყო კონკრეტული თამაშების პოპულარიზაციისთვის. თილისმა შეიძლება ყოფილიყო ადამიანი, ცხოველი ან ზღაპრული არსება, რომელიც ასახავდა მასპინძელი ქვეყნის კულტურის თავისებურებებს და სიმბოლურად გამოხატავდა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფასეულობებს.



ყოველი ახლადშექმნილი თილისმა აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს წინა თამაშების თილისმისაგან, რამდენადაც მისი დანიშნულება - მასპინძელი ქვეყნის თვითმყოფადობის წარმოჩენა და სპორტსმენთა და მაყურებელთა სიმპათიის მოპოვებაა. ამიტომ, თილისმის ორიგინალურობის იდეა წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) მიერ თილისმის შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) არ რეგლამენტირებს თილისმის არჩევის პროცედურაში, არჩევანის სრულ თავისუფლებას უტოვებს თამაშების ორგანიზატორებს. ამიტომ თილისმის შექმნის და შერჩევის პროცესი ყოველთვის განისაზღვრება ინდივიდუალურად. უფრო ხშირად თილისმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის და მარკეტინგული გამოკვლევის შემდეგ მუშავდება (იქმნება) პროფესიონალი დიზაინერების მიერ. ამასთან, რამდენადაც თილისმის შექმნისათვის გამოიყენება სხვადასხვა ოლიმპიური სიმბოლიკა და ექვემდებარება შესაბამის იურიდიულ კრიტერიუმებს, შერჩეული თილისმა მტკიცდება სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

თილისმა უნდა ასახავდეს ოლიმპიურ ფასეულობებს, სადაც უნდა მოიაზრებოდეს სრულყოფილება, სპორტულ ორთაბრძოლაში შესაძლებლობების მაქსიმალური (სრული) გამოვლენა, მეგობრობა და ადამიანთა პატივისცემა.



სტილიზებული მოთხილამურე შიუსი - ეს სათამაშო შექმნეს 1968 წლის გრენობლის (საფრანგეთი) ზამთრის საერთაშორისო ოლიმპიური თამაშებისათვის. სამკერდე ნიშნები და ფიგურები შიუსის გამოსახულებით ისეთი პოპულარობით სარგებლობდნენ, რომ შიუსი გახდა თამაშების არაოფიციალური თილისმა,

1972 წლის საპოროს (იაპონია) ზამთრის ოლიმპიური თამაშებს არ გააჩნდა თავისი თილისმა, ხოლო 1972 წლის მიუნხენის ზაფხულის საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების თილისმა ტაქსა ვალდი გახლდათ. კერძოდ, მისგან დაიწყო ოლიმპიური თამაშების ოფიციალური თილისმის შემოღების ტრადიცია.

# ჩვენი ანტიდირსუესანიშნაობანი



ფოტოებზე აღბეჭდილია პანდუსი, რომლითაც სარგებლობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის (ყოფ. რესპუბლიკური საავადმყოფოს) ხელოვნური თირკმლის განყოფილების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტები, რომელთაც თირკმელჩანაცვლებითი თერაპია უტარდებათ კვირაში სამჯერ. ალბათ, შეამჩნევთ, რომ ეს პანდუსი არ აკმაყოფილებს

არანაირ სტანდარტს. გარდა იმისა, რომ მკვეთრი დახრილობის გამო მასზე ეტლის აყვანა თითქმის შეუძლებელია (ან შესაძლებელია 3 კაცის დახმარებით), პანდუსი შეკრულია თხელი ფიცრებისგან და მისი გამოყენება ძალზე სახიფათოა.



შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე ზრუნვა, როგორც ამბობენ, ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტია. გაეროს კონვენციას, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის გარანტიად მიიჩნევა, საქართველოში, როგორც ვიცით, უკვე გაუკეთდა რატიფიკაცია. ჩვენს ქვეყანას ნაკისრი აქვს არაერთი ვალდებულება და, უპირველეს ყოვლისა, შშმ პირებისთვის უნივერსალური, ადაპტირებული გარემოს შექმნა. თუმცა კვირაში სამჯერ, როცა

პაციენტი ეტლით აჰყავთ საავადმყოფოს პანდუსზე, რჩება შთაბეჭდილება, რომ არც მას და არც მის მდგომარეობაში მყოფ სხვა ადამიანებს ამ ქვეყნის მოქალაქეებად არ მიიჩნევენ. დაბოლოს, ერთადერთ კითხვით მივმართავთ ჩვენი ქვეყნის მთავრობას: ასეთი პანდუსებით გსურთ მოხიბლოთ ევროპა?



იყითხეთ ფუნქნალი "იპელი +"

[www.imediplusi.ge](http://www.imediplusi.ge)

0.101/15

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

